

კაჟა ეტჳისელო

კოლხური
ფსალმუნები

100-ტომეული



გამომცემლობა „ანკვარსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად


2020



საქართველოს მწიბრალთა, მცენიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

ტომი 75

2020



მთ. რედაქტორი

ბულიკო გობიტიამ

ფილოლოგი, დასაუვლეთ
ევროპის ენების სპეციალისტი.
საქართველოს მწერლთა,
მეცნიერთა და საზოგადო
მოდერნიზატორთა აკადემია „ქალდეა-
საქართველო“-ს აკადემიკოსი

© ვაჟა ევრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიბოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-882-3 (75 ტომი)



* * *

ვაჟა ებრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ღმერთის მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღმქანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაჰვილი“, ფილორ ტიუტჩევის ღმერთი და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ღმერთის მომცველი ერთომეხუთი – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალგუნაბი“-ს ხუთომეხუთის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძმინდება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ღმერთი დასტაგული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცნინერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცნინერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაკტიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლისა და „დიოკურია 2005“-ის, მწვინდობის ოქროს პარსკვლავისა და მწვინდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცნინერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-ს პრემიუნდის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცნინერო აკადემიის ვიცე-პრემიუნდის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზიდი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტბავრდიანი ტომეულების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზიდის ხუთასზე მეტბავრდიანი, უმაღლეს კოლიბრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბულია დასაბეჭდავ ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანტიკომედი, აბრეთვე, პრეზიდისაღმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მმცხრე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





პოეტის ასტრომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შებადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ აზანზარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არსის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომეული დაკიდა და ბაანოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათტომეუტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითები.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძენია დღამიწაზე...

კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგულეშავი მისვლია... მათ იცინან იმ იწყება დღამიწის ისტორია“.

ბულნაზ ხარაიშვილი

პოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი





„ბულცივად ვხევდი ყოველ ძეგას, ყოველ კაბეგას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაგიერ

„... ვაჟა ეგრისელი, თავისი ყველასაგან გამორჩეული საკუთარი ხელწერით, ორიგინალური ხმით, მოვლენათა ხედვის მასშტაბურობით და იღუმალის ხილვების უნარით, უკანასკნელი პერიოდის ქართულ პოეზიაში თავისებურ მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული...“

შოთა ლომსაძე, პოეტი, პროფესორი

„... რასაც ვაჟა ეგრისელზე წერენ, ყველაფერი სწორია და სიმართლეა, ვინაიდან იგი ჭეშმარიტად დიდი შემოქმედია...“

ელგუჯა მადრაძე, პროფესორი, კირიკოსი


„... მიუხედავად იმისა, დღეს მოოპერობს თუ ხვალ ლიტერატურის კრიტიკოსთა მაღალ ყურადღებას ვაჟა ეგრისელის ლექსი, მეთელი დაბეჯიდებით უნდა გაუწყოთ, რომ ვაჟა ეგრისელი, მსოფლიო პოეტებს შორის ამაყად დგას თავისი ბრწყინვალე პოეზიით...“

რევაზ მიშველაძე, მწერალი, პროფესორი.

1988

„... ვაჟა ეგრისელის პოეზია – XXI საუკუნის რიჟრაჟზე ამომავალი ნათელია, რომელსაც ჩაქრობა არ უწერია...“

აკაკი გაწერილია, მწერალი, პროფესორი. 1993





„... ახალი თაობის პოეტებმა ოცდამეერთე საუკუნეში ვაჟა ეგრისელისებურად უნდა დაიწვიონ წერა...“

გიორგი განჩილაძე, პროფესორი, კრიტიკოსი.

„... ვაჟა ეგრისელი დიდი პოეტური ენერჯის კალმოსანია...“

აკაკი გეწაძე, პოეტი

„... ვაჟა ეგრისელის – ლექსების წინამდებარე წიგნით - „იქმენ ნათელი!“ ქართული ლირიკული პოეზიის ედემისებურ ბაღში შემოვიდა, როგორც პოეტი – გამოცანა, პოეტი – მოვლენა, პოეტი – ნოვატორი...“

აკაკი თოფურია, პროფესორი, კრიტიკოსი

„... ვაჟა ეგრისელმა კარგა ხანია დაიმკვიდრა თავისი პოეტური ხელწერა. მისი ლექსი ჩვეულებრივ მინიატურულია, მაგრამ ტევად. იქ ვერ აღმოაჩენთ სიხარიელეს. მისი ხილვები მეტაფორის პრიზმაშია გამოტარებული და მხატვრული ორნამენტებით აღიქმება...“


შოთა ნიშნიანიძე, პოეტი.

„... მოვეა პოეტი ნიჭის რაშზე ამხედრებული და ათასწლეულს გადიჯირითებს“, - წერდა ვაჟა ეგრისელი... და აჰა, მოვიდა პოეტი იგი...“

მიხეილ ჩაჩუა, მწერალი

„... ვაჟა ეგრისელის ლექსები ცრემლებივით სუფთა და სპეტაკია...“

სულხან ჟორდანია, პროფესორი, კრიტიკოსი.





„... პოეტი „სრული“ - საქართველოში მოიძებნება ოდენ თითზე ჩამოსათვლელი, მათ შორისაა – ვაჟა ვერისელი...“

ლევან სანიკიძე, მწერალი, პროფესორი.

„... ვაჟა ვერისელმა პეგასი, როგორც თარაშ ემხვარმა ულაყი, პოეზიის აბობოქრებულ ენგურში შეაგდო...“

მორის ფოცხიშვილი, პოეტი

„... დაბეჯიდებით შეიძლება ითქვას, რომ ქართული კრიტიკა ჯერ კიდევ ვალშია ვაჟა ვერისელის მეტეორივით მოვლენილი დიდი პოეზიის ჭეშმარიტ შეფასებაში. ქართულმა ლიტერატურათმცოდნეობამ სერიოზული განხილვისა და მსჯელობის საგნად უნდა აქციოს ვაჟა ვერისელის საოცრად თვითნაბადი პოეტური სამყარო.

... ჩვენდა სამწუხაროდ, ქართული ამბიციურობა, შური და ჩასაფრება ხელს გვიშლის დროზე მივაგოთ „კეისარს კეისრისა!“

აპოლონ ცანავა, პროფესორი, კრიტიკოსი. 1988

ამჟვეყნად არაფერი ხდება შემთხვევით. არც ვაჟა ვერისელის პოეტად მოვლენა ყოფილა მოულოდნელი, რადგან მის „სიყვარულით შემოღობილ კარ-მიდამოში“ – (პოეზიაში) მითებითა და ლეგენდებით დახუნძლული კოლხური მზე ბულრაობს და „ხმელეთის იქით რომ გადაიხედოს, ზღვა თითის წვერებზე დგება“. მისი ლექსებიდან შემოქმედი კაცის ზვარაკად შეწირული გულისცემა, ჯიშინი ერის სისხლის ყივილი და მარადისობისაკენ გაჭრი-



ლი პოეზიის ბედაურთა ფლოკეების ხმა ისმის, იმ ბედაურებისა, რომელზედაც ერთ დროს თვითონვე წერდა: „მოვა პოეტი ნიჭის რაშზე ამხედებული და ათასწლეულს გადიჯირითებს“. და აკი მოვიდა კიდევ. მე კი ამ მოსვლით იმ ბედნიერ კაცთა რიცხვს ვეკუთვნი, ვისაც წილად ხვდა პატივი თქვას – „მე ვაჟა ეგრისელის მეგობარი ვარ!“ მადლობა ამისათვის უფალს!

... ვაჟა ეგრისელის მეტაფორული აზროვნება ჩუქურთმასავითაა გამოკვეთილი მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიაში, წიგნი – „იქმენ ნათელი“ ტაძარია ხელთუქმენლი. რომელსაც ვერას დააკლებს უღმობელი ჟამი...

ხოლო დიდი ხნის შემდეგ, როცა მისი წილი ცა საადროდ მოიქუფრება და „ღირიჟორივით შავ ფრაკს ჩაიცმევს“, მაშინ დასავლის ქარი მათ უთუოდ მარადისობისაკენ გადარეკავს და „ომიდან შვილის მომლოდინე ბერდუდასავით გათეთრებული“, პოეტის ჭიშკართან მდგარი სიყვარულის ხედ აფეთქებული აკაცია კი ყოველ ცისმარე, დარსა თუ ავღარში ყველას უამბობს იმ დიდი პოეტის შესახებ, რომელსაც ვაჟა ეგრისელი ჰქვია.

მურად ჭოლოკავა, პოეტი. 1993

„...ნათელხილვათა სამყაროს კურთხევით, ვაჟა ეგრისელი მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის, ქართული პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია...“

ოთარ ჭურჭულია, პროფესორი, კრიტიკოსი.

„...პოეტის ნაფიქრ-ნააზრე-ნაძერწის კომპაქტურობას ხელს უწყობს ლექსის მცირე ფორმა. მცირე ფორმაში მოქცეული იმპრესიონისტული ხედვა მოვლენებისა, რომე-



ლიც სხვა პოეტის მიერ მოვლენის აღქმაში არასოდეს აგერევა. ეგრისელის პოეტური სტრიქონი ვერ ეგუება უცხო სხეულს, ერთხელ უკვე ნათქვამის განმეორებას, საიდანაც მოტანილ რემინისცენციებს. ის თავისთავადია და არც თავის მხრივ შეიძლება იქცეს სხვა პოეტის ლექსის შემადგენელ ნაწილად, რადგანაც მას თავისი შემქმნელის განუმეორებელი ბეჭედი აზის...”

რევაზ ჯაფარიძე
მწერალი
1988

„...ზღვის ბობოქარი სტიქია ბობოქრობს ვაჟა ეგრისელის დიდ პოეზიაში...“

ნოდარ ხუნდაძე
პოეტი, პროზაიკოსი.

პოეტის კვართით დაბადებული

ყველა ჭეშმარიტ შემოქმედს თავისი, განსაკუთრებული ხელწერა აქვს. ვაჟა ეგრისელის ფენომენი შორს სცილდება ეროვნული არსის ჩარჩოებს და გლობალურ, მსოფლიო მასშტაბებს იძენს. მის პოეტურ შემოქმედებას განუმეორებელ ხიბლს ანიჭებს ვარსკვლავებით მოკიფე მეტაფორები, რომლებიც ავგაროზივით იცავენ ვაჟა ეგრისელის პოეზიის შეუვალობას.

დროში შეზღუდული მარადისობა და მარადისობაში განფენილი დრო ერთნაირი სიდიადით სუნთქავენ ჭეშმარიტი დიდოსტატის ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში და ასეთივე დიდებულებით ხაზს უსვამენ მისი ავტორის ერთადერთობას.



ვაჟა ეგრისელმა გამორჩეულად შეძლო „გრძელი სიტყვის მოკლედ თქმა“ და მასში რუსთაველის მსგავსი სიბრძნის აუღერება. ვაჟა ეგრისელის პოეტური მემკვიდრეობას სიკეთისა და სათნოების, სხვაზე ზრუნვისა და პატრონობის, სიყვარულისა და მარად ახალის ფეიერვერკია...

პოეტი დროსთან მორკინალი ის გლადიატორია, რომელიც ამსხვრევს ჟამთა სამანს, რათა ახლებურად დაგვანახოს წარსული და მარადისობას გვაზიაროს. „უღმობელი და უასაკო“ ჟამი თითზე ითვლის შემოქმედის დღეებს და როცა ყოველივე გაქრება, საქართველოს ცის ქვეშ კვლავ ეფფონიური სიდიდით გახშიანდება ვაჟა ეგრისელის „ვედრება“, რადგან ქრისტიანული სათნოება მისი, როგორც კაცისა და შემოქმედის არსებობის ერთადერთი გამართლებაა:

„მომეცი ნება

დავიდაფნო სიმღერით შუბლი

და დავდგე ტინად,

დავდგე ქარაფად.

მარადისობა ხელთ ავიღო ვითარცა შუბი,

მომეცი ნება...

სანამ მაქცევ მტვრად და არაფრად!“

ეს იმის სულის ძახილია, რომელიც ანგარიშშიუცემლად დაედება მამულს საღბუნად. ეს იმ კაცის ძახილია, ვინც არასოდეს ღალატობს მარადიულ ღირებულებებს და დროის შესაბამისად არ წარმართავს თავის მხატვრულ კონცეფციას თუ ზნეობრივ კრედოს. იგი ყოველთვის იყო და რჩება მარადიული თემების ავტორ-ტიტულმფლობელად და მხოლოდ იმის გამოსახვას ელტვის, რაც საუკუნეებით განმტკიცებულა ჩვენს ეროვნულ სახიერებაში, როგორც ჩვენი არსებობის ნათელი ნიშანი, რაც არასო-



დეს ძველდება, არასოდეს კარგავს ესთეტიკურ თუ მატერიალურ ღირებულებას.

პოეტი მთელი თავისი შემოქმედებითი ძალისხმევით იღწვის იმისათვის, რომ არ მიინავლოს ერის სამოქმედო პოტენცია, რომლის მადლითაც თაობები აღზრდილან, რითაც ოდიდგან სულს იდგამდა ენით უთქმელ ტანჯვასა და განსაცდელში გამოვლილი და ჩვენამდე ძლივს მოღწეული ეროვნული თვითმყოფადობა. ვაჟა ეგრისელი თავისივე წინაპრის მსგავსად, რომელთაც „წუთისოფელი უხვამთ, მაგრამ ვერ დაუცვლიათ“, ეძალება ამ ტკივილიან, იარებიან წარსულს, რომლის ფიალასაც არდავიწყების სითბოთი ავსებს. იცის, მას დაცლა არ უწერია, რადგან:

„წელში მოხრილ პატარა ბალახს

ვნახე

მკვდრის სული ვით გამოჰყავს

საფლავის ქვიდან.“

და ისინი ცოცხლდებიან ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში, როგორც მისი არსებობის ორგანული ნაწილი, გამოგნებელი ტკივილითა და ქართული სიამაყით განცდილი, რადგან მისი პოეზია სავანეა დამაშვრალი სულიანათვის, თავისებური მიწიერიც და საიმქვეყნო სარწმუნოებაც, სადაც ნუგეშს ეძიებს და ჰპოვებს კიდევ ყოველი, ამიტომაც ცდილობს პოეტი ამ ღვთიური ენით ასმინოს თავისი მამაშვილური სათქმელი უმწეოდ გზაბნეულ სულებს, გაამხნევოს და დამოძღვროს, გამომამხეუროს ეროვნულ თვისებათა მიჩქმალული საუნჯე, ფართო სადინარი გაუხსნას და სწორ კალაპოტში ჩააყენოს უაზროდ დატბორილი ეროვნული ენერგია.

ვაჟა ეგრისელი – ესაა მოაზროვნე და მხატვარი, შემოქმედი, რომელიც ღრმადაა ჩახედული ცხოვრების გუ-



ღისგულში. მის მხატვრულ კონცეფციას განსაზღვრავს ტრადიციის სიღრმისეული ცოდნა, თანამედროვეობის სწორად გაგებული შინაარსი, წარსულის პრაქტიკაც და მომავლის პერსპექტივაც.

აკი ხატოვნად შენიშნავს:

„სსოვნის დარბაზი ჩემი ისე გაჭყედილია,
ვერ ჩავარდება დავიწყების პატარა ნემსიც!“

ვაჟა ეგრისელის პოეზიის მძაფრი ზემოქმედების ძალას განაპირობებს ხელოვნური სირთულეების დაუწრდილავი ნათელი აზრი, პოეტური სემანტიკის სიახლე და სიუხვე, ღრმა შინაარსობრივი დატვირთვა და შეუდარებელი მეტაფორული სიმდიდრე.

ის, რაზედაც ვაჟა ეგრისელი წერს, არა მარტო ჩვენი ერის, ყველა დროის და ყველა ეპოქის ადამიანთა სისხლხორცეული კუთვნილებაა, რადგანაც ზოგადკაცობრიულ მასშტაბებს იძენს, ამიტომაც მისი პოეზია არ კარგავს შთაბეჭდილების სიმძაფრეს. რა გრანდიოზული, მონუმენტური აზრით ძერწავს პოეტი დავით აღმაშენებლის სახეს:

„და, აჰა“

ბნელში, ქართლის მტერთა

შესამუსრადად –

მოდის სიკვდილი! – მეფე დავითი,“

ესაა პიროვნებისა და ისტორიის ახლებური დანახვა. სიკვდილი თავის მატერიალურ გამოხატულებაში არის ყოვლისმომხვერელი ძალა, რომლის წინაშე ერთნაირად უსუსურია მეფეც და მონაც, მდიდარიც და ღარიბიც. მეფე დავითის ასეთი პლასტიკური სახით წარმონეხა ვაჟა ეგრისელის საოცარ ნიჭიერებაზე მეტყველებს. მოულოდნე-



ლობით დატვირთული ეს სახე – ლექსის მთავარ ჩანაფიქრს ემორჩილება და განსაცვიფრებელ ესთეტიკურ ფენომენს ქმნის. თუმცა მას აქვს თავისი საზღვარდება, იგი ანადგურებს ყოველივეს, რაც ხელს უშლის სიცოცხლის მეწყერივით მოვარდნას.

პოეტური გრძნობიერების ყოველი კომპონენტი, პოეტის მახვილი ჩანაფიქრის ფერადი გამონაშხეფია. მრავალსიტყვაობისა და სიტყვიერ სიუხვეს ვაჟა ეგრისელი კარგად ცვლის სხარტი, მკაცრი შინაგანი ლოგიკით შეკრული ტყვადი სტრიქონებით. ცნობილია, რომ როცა პოეტურ გრძნობას პოეტური აზროვნება ჭარბობს, ან პირიქით, ირღვევა ესთეტიკური პრინციპი, იკარგება ლექსის ღვთაებრივი სრულყოფილება. ამ მხრივ ვაჟა ეგრისელის პოეზია, ჭეშმარიტად თვთაებრივი პროპორციაა, გასაოცარი წონასწორობა და ჰარმონიული მთლიანობაა ამ ორი მხატვრული ფენომენისა. ამიტომაც ის თანაბარი ძალით ესადაგება აზრობრივ თუ გრძნობად ემოციებს, წამითაც არ კარგავს იმ სულისშემძვრელ პოეტურ მდინარებას, ასე მაღლიანაც რომ მობრწყინავს შემოქმედის დახვეწილ, რაფინირებულ სტრიქონებში.

ვაჟა ეგრისელის უზადო ქართული ფენომენი არისტოკრატიული სულითაა გაულენთილი, ის გამოუღვეველი კოსმიური ენერგიის მატარებელია, რომელსაც ერთი ღიმილის, ერთი თბილი სიტყვის გულისათვის შეუძლია ერთ საათში გახარჯოს სულის კოსმიური პოტენციალი.

ვაჟა ეგრისელი, როგორც ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი, მტკივნეულად განიცდის ჟამთა დინებას, რომელიც „თვითონ მთებმაც ვერ შეაჩერეს,“ და რომლის გარდუვალ შედეგსაც კიდევ ერთხელ ახსენებს პოეტს“ დაშლილი ციხის გალავანთან დაყრილი ქვები. სად გაქრნენ ის პირ-



ტიტველა მეციხოვნენი, რომელთაც „თვალეში ედგათ საქართველოს ცა და ამინდი?“ ვაჟა ეგრისელმა ისტორიის მტკვრი ჩამოაბრეტყა მათ სახელებს და მათი ადამიანური ხატის მშვენიერებას გვაზიარა. იგი კი არ გვიამბობს, არამედ მოგვანიშნებს, რომ ამ გმირებს მტერმა ვერ აპატიო სამშობლოს სილამაზე:

„მიკაფ – მოკაფეს საქართველოს ცა და ვენახი,
მაგრამ საფლავში ვერ დამარხეს,
ვერ ჩაატყეს.“

პოეტი თავისი შინაგანი მოწოდებით წავიდა ეროვნული ისტორიის უღრმეს ფენებში და მარად ცოცხალ ფესვებთან შეხებით მხატვრული ძალმოსილების იდუმალ ენერგიებს გვაზიარა, რომელიც თვითნებურად შემოდის ჩვენში, როგორც ახლებური ხედვის ხელშესახები პულსაციია:

„და... შენი ტრფობა – შიგ გულში მჭირს
ჩემო მამულო!

არ ვიცი, როგორ გადავირჩები“.

ასეთი შინაგანი ძახილი არაა პოზიორული მანერა, ის ჭეშმარიტი დიდოსტატის უფაქიხეს სულზე მეტყველებს, რომელმაც ეს სიყვარული დიდი წარსულის საფასურად მიიღო და არ შეიძლება ასეთ კაცს დიდი ტკივილების შეგრძნებაც არ აწუხებდეს.

ვაჟა ეგრისელი მარტოოდენ თავისი ერის გულშემატკივარი არ არის, არამედ მასში გენეტიკურად არის მოცემული მსოფლიო მოქალაქის კოდი. მისი სულიც კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე დაბადებული და გამქრალი ტკივილების შეგრძნებისკენ ისწრაფვის, მისი დოკუმენტური ფერწერული სახეები ნებისმიერ დიდ მხატვარს შეშურდებოდა, რადგან ვაჟა ეგრისელი არ მე-



კუთვნება იმ შემოქმედთა რიცხვს, რომლებიც ესწრაფვიან გამოგონილი სამყაროს იდუმალებას და აბსურდებით აბნევენ მკითხველს. იგი აქ, ნაწამებ მიწაზე ცხოვრობს. აქ, განცდილი სიხარულით სულდგმულობს. ამიტომავაა მისი პოეზია ნაღდი, ამადლებული და შესაშურად მართალი.

ის, რაც რეალური და ხელშესახებია, პოეტის საფიქრალის საგანი გამხდარია. მის სამსახურში დებს თავის სულიერ ენერგიას და ღვთით დაბეგებულ ტვირთს ისევე ღამაზად ატარებს, როგროც მისი ღექსები შეუდარებელ მეტაფორებს. მიხუდევად იმისა, რომ ვაჟა ეგრისელის პოეზია ტრადიციულ ლიტერატურის საფუძველს ემყარება, მისი შემოქმედება მხოლოდ და მხოლოდ ახლის ძიებაა.

მისი ღექსი – ესაა სრულიად ახალი სიტყვა ქართულ პოეზიაში. ორგანული ხედვა და მაღალი პოეტური ხელწერა იმ ფაქტის მიმანიშნებელია, რომ შემოქმედებისათვის ლიტერატურული ტრადიციებისადმი ფრთხილი მიდგომაა დამახასიათებელი და არა უბრალო სქემატური გადამღერება. მისი პოეზია – ესაა ეროვნული ყოფის, ხასიათისა და ზნეობის ნათელი ნიშანსვეტი. ყოველივე ეს ქმნიდა და აყალიბებდა პოეტის პიროვნებას ეროვნულ წიადშივე დასაბრუნებლად. მხოლოდ პოეტის კვართით დაბადებულ კაცს ძალუმს ასეთი ტკივილით ამოთქვას:

„და შენი ტრფობა შიგ გულში მჭირს, ჩემო მამულო!“ ასეთი ღვთაებრივი განაცხადით იგი მკითხველს – ამადლებულის ჯადო ძალას აზიარებს.

ვაჟა ეგრისელის შემოქმედება პოეზიაცაა და ფილოსოფიაც. მისი ნახატები და სიმბოლოები ფართო განფენილობას იძენს და დიდი სიღრმისეული შინაარსით იტვირთება. იგი თითქოს არს კი წონის სიტყვას, რომელიც საოცარი მრავალფეროვნებით და მოულოდნელობით იღვრება



ქალღმერთს და აღმაფრენით მიიღტვის ჭეშმარიტებისაკენ. თავისთავად გულისმომკვლელი მიწიერი ფაქტები თუ ღირებულებები კრისტალურ განზოგადობამდე მადლდება. იგი ცოცხალი ჩანახატებითა და სახეებით გადმოგვცემს იმას, რაც კაცობრიობისა თუ საკუთარი გამოცდილების შედეგია და რაც მკაცრი ლოგიკური საფუძვლიდან ამოდის, რადგან მისი პოეზია წარმოადგენს მის სულიერ სამყაროს, მთელი მისი გულისთქმისა და სუნთქვის ცოცხალ და განუყოფელ ნაწილს.

ვაჟა ეგრისელი ძალიან ახლოს არის ბუნებასთან. ბინება მისი მხატვრული აზროვნების დაუშრობელი წყაროა, საიდანაც უხვად მოედინება საოცრად მომხიბლავი სახეები ფერები, მეტაფორები... პოეტი რომელიღაც იდუმალი გრძნობით გრძნობს მშობლიური მიწის ენერგიას ანტიკოსივით და ეს გრძნობა თანდაყოლილია, ხორციელი და გაუნფლებელი, რომელიც კვლავ და კვლავ წარმოაჩენს ძალუმი მონახაზებით გამოკვეთილ პეიზაჟებს, რომლებშიც ადამიანური სიამაყეცაა და ბუნების პირველყოფილი მშვენიერებაც.

ვაჟა ეგრისელს არ უყვარს მრუმე ფერები, იგი მხიარულ მოელვარე ფერებს იყენებს. ბუნება მის პოეზიაში ღონივრად და მზის ენერგიით სუნთქავს. ეს ოპტიმიზმი და ენერგია ისეთივე ძალით გადმოდის ჩვენში, რომ ერთხელაც არ დაეჭვდება მკითხველი მის გულწრფელობასა და სინაღდუში. ჩვენს დროში ბუნებისაგან ადამიანის უნუგეშოდ მოწყვეტის ჟამს, ვაჟა ეგრისელის ლექსებში გადარჩენილი ბუნებისა და ადამიანის მარადიული განუყრელობის გრძნობა წიაღისკენ გვეძახის, მისი მშვენიერებით გვიხილავს, რადგან მას „ბობოქარის ზღვა – გულად უცემს.“

გულწრფელობა პოეტის უდიდესი ღირსებაა. იგი ბუ-



ნებასთან წილნაყრობიდან, სამყაროს ჰარმონიისა და მშვენიერების შეგრძნებიდან და ცხოვრებისადმი ღრმა ჰუმანური დამოკიდებულებებიდან მომდინარეობს. ვაჟა ეგრი-სელის ცხოვრება ამ მარადიული სილამაზისა და ჰარმონიისაკენ, მისი შეგრძნებითა და გაცნობიერებით თავდა-ვიწყებისკენ სწრაფვია. ამ სწრაფვაში უდიდესი სიბრძნე იკვეთება, რომელიც ღრმა ცხოვრებისეული ფილოსოფიითაა ნასაზრდოები. ეს არის სფერო, როდესაც აღარ არის საკმარისი არც წარმოდგენები და არც სიმბოლოები, ეს არის მეტაფორების სამეფო, სადაც მაძიებელ გონებას სტიმულს აძლევს ჭეშმარიტების აუცილებლობა, შედარე-ბა და თავისუფალი რეფლექსია თავიანთ თვითმნიშვნე-ლობას კარგავენ, გარდამავალ და საცდელ საფეხურებად იქცევიან. აქ ადამიანი გრძნობს უბრალო „შედარების“ არაადეკვატურობას. ის მის მიღმა გადის და გამოხატუ-ლებას პოულობს – მეტაფორაში. მეტაფორებს განსაზ-ღვრებენ, როგორც შედარებებს, ანალოგებს. მსგავსება თითქოსდა ისევე წარმოქმნის შედარებას, მაგრამ ყოველ-თვის მსგავსება არ არის, რაც მეტაფორას – მეტყველების საოცარ ელემენტად აქცევს.

ნებისმიერი პოეტის შემოქმედებაში შეიძლება გამოი-ყოს სიტყვათა ისეთი შრე, რომელიც საფუძვლად უდევს მისი მხატვრული სამყაროს გამორჩეულად შთამბეჭდავ ქმნილებებს და შთაგონების იმ სტიმულს წარმოადგენს, საიდანაც იწყება თვითმყოფადი პოეტური აზრის დინება. სწორედ მეტაფორა რეალისტურ დეტალთან ერთად წარ-მოადგენს „საგნის ცოცხალსა და მკაფიო გამოსახვის“ უტყუარ საშუალებას. ბერგსონის ზედმიწევნით ზუსტი და შთამბეჭდავი ტერმინი რომ გამოვიყენოთ, მეტაფორა წარ-მოდგენის ლოგიკაა. თუ კი გონების თვალს მოვაველებთ



ვაჟა ეგრისელის პოეტურ ხატებს, ვიპოვით იმ ერთიან, ზოგად შეგრძნებას თავიდან ბოლომდე რომ გასდევს ამ მრავალწახნაგოვან სამყაროს. წარმოდგენის ლოგიკით შობილი ეს შეგრძნება ყველაზე კარგად ალბათ, ამადღებულის ცნებით გამოიხატება, ვაჟა ეგრისელის შემოქმედება ზედმიწევნით ორიგინალურია, გაბედული, მოულოდნელი და თავისთავში პოეტური შედეგის ნიშანთვისებების მატარებელია:

„დგას სიცხიანი ჩემი სახლი

და ბუხრის ყელი,

სიცხის დამწვევი აბებივით ხოშკაკალს ყლაპავს.“

ბუხრის ყელი შედის მხატვრული შედარების სტრუქტურაში. პოეტს სურს, რომ მხატვრული სიტყვის არსი მკითხველმა ისევე გაიგოს, როგორც ის თვით შემოქმედს ესმის. შეიძლება ითქვას, რომ არა მარტო მხატვრული ნაწარმოების კონტექსტი აძლევს დეტალს შესაძლებლობას მთლიანად გამოავლინოს თავისი ექსპრესიული პოეტნიკალი, არამედ დეტალიც, თავის მხრივ, აძლევს მთელ შესაძლებლობას სრულყოფიას და ექსპრესიულობისა.

სიტყვიერი ფერწერა, სიტყვიერი პლასტიკა მხატვრულობის უდიდესი კომპონენტია, მაგრამ მხოლოდ სიტყვა, მხოლოდ მხატვრულობა, მხოლოდ სახე დიდ ლიტერატურას ვერ ქმნის.

საბედნიეროდ ლიტერატურის განმწმენდელი არსი, გატაცებათა დაძლევა, ვნებათა დაურევებაა პოეტური სიტყვის ძალით.

სიტყვაკაზმული მწერლობა როგორც გზა, ბილიკია – სიყვარულის, მიმდობლობისა და შემწყნარებლობისაკენ, ხელოვნების განმათავისუფლებელი ძლევა მოსილება საერ-



თოდ ადამიანის ხუთივე გრძნობის სვეტზეა აღმართული. ამიტომაც მისი მეტაფორული აზროვნება ერთდროულად ამადლებაცაა და მიწისაგან განუყოფლობაც:

„ქართული მთები წუხან სიმაღლეს
და თვალი მაინც ცისკენ უჭირავთ
მაგრამ მიწასაც,

ვითარც მშობელს გრძნობენ ისინი,

რადგან შოლტევით ბილიკები გადაუჭირა.“

მხატვრული აზროვნების იდეალური, საბოლოო მიზანი, ალბათ ისეთ პლასტიკურ სახეთა სისტემის შექმნაა, სამყაროს ქაოტურ მრავალფეროვნებას ლოგიკურად გამართულ ერთობაზე რომ დაიყვანეს, უნიკალურ მოვლენათა უსასრულო რიგს რაციონალურ წესრიგში რომ გააერთიანებს.

სიცოცხლის, ბუნების, ადამიანთა ურთიერთობის, სიყვარულის გაფრთხილება და თანაგრძნობა ვაჟა ეგრიხელის სულიერი სუბსტანციის უშუალო გამჟღავნება გახლავთ. მის შემოქმედებაში არ არის არცერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელობანი ლექსი, გრძნობათა მნიშვნელოვანი იდეა, რომელიც ქვეცნობიერად არ ასახავდეს სიცოცხლისადმი, ბედნიერებისადმი ლტოლვის ტენდენციას.

უაღრესად მოულოდნელი და ინფორმაციულია ვაჟა ეგრიხელის მიერ შექმნილი ხატი, რომელიც ტროპული ცნობიერების უაღრესად საინტერესო სურათს ქმნის:

„– ჟამთა დინება თვითონ მთებმა ვერ შეაჩერეს
და ზღვათა მჯიღებს ბნელს ურტყამენ და გაშმაგებით
მუხლზე იმსხვრევენ მაღალ ჩანჩქერებს.“

ალბათ არ შევცდები, თუკი ვიტყვი, რომ ამგვარი პოეტური ხატები ჩვენს ცნობიერებაში შემოდის როგორც ახალი, თვითმყოფადი, ხელშესახები ფერწერული სურა-



თები. დიახ, ვაჟა ეგრისელი პოეტი რომ არა, ბრწყინვალე დიდოსტატი იქნებოდა ფერწერაში, რამეთუ ისეთი ცოცხალი, ისეთი მშვენიერია მის მიერ დანახული სამყარო, შეუძლებელია არ დაგამახსოვრდეს და ყოველ ყოფით საგანთან შეხებისას მის მიერ შექმნილი ხატი არ ამოტივტივდეს გონებაში:

„– ნაპირზე ვდგებართ მე და აპრილი
და შიშით კვირტებს გული უსკდებათ!“

„– და წითლად სახეაფაკლული, ბავშვივით მორცხვი,
მზე ჩადის ზღვაში.“

ან კიდევ: „მთებმა კი თავის აჯანღებულ მკერდზე
დანიტეს თოვლი და... თეთრი ედღევაისი.“

„– არაგვისპირას გაწოლილა მთა ძუ მგელივით
და ბარს მშიერი, თოვლის თეთრი კბილებით
უღრენს.“

მეტაფორულ, ტროპულ იდეას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ლექსის ესთეტიკისთვის.

ვაჟა ეგრისელს შეუძლია ერთსა და იმავე ქართულ სიტყვაში დაინახოს იდეა ამოუწურავი სხვადასხვა მხატვრული ნიუანსებით. ასოციაციური, ტროპული აზროვნება არ არის ერთადერთი პარამეტრის გარეშე პოეზიის პარნასზე ოცნებაც კი შეუძლებელია.

ხელოვნების სამყარო ცოცხალისა და არა ცოცხალის მარადიული ერთობაა. ჭეშმარიტი შემოქმედის ხელოვნება სამყაროს მარადცვალებად მშვენიერებას დროის დინებიდან გამორიცხავს და მარადიულობას ანიჭებს.

ვაჟა ეგრისელის მხატვრული სამყარო თავის უმაღლეს გამოხატულებაში ის რწმენაა, რომელსაც დრო ვერას დააკლებს, რადგან როგროც ავტორი ამბობ:

„ჩემი რწმენა მუდამ მიიწევს ცისკენ –



ბუხრიდან ამოსულ კვამლივით ამაყი.“

ეს ჭეშმარიტებაა, რომელიც შეიმცნო ავტორმა და რომლისთვისაც, ალბათ, წლები დასჭირდა. მის რწმენაში ქრისტიანული რჯულის უტყუარი არსი იხატება, თუმცა მშვენივრად იცის, რომ ადამიანური ბუნება ცოდვილია. თავადაც იცის ცოდვილია იმ სიყვარულის გამო, რომელიც „გულში სჭირს“ მამულის მიმართ.

„... მაგრამ ფიფქები, ვით პატარა ანგელოზები, ვრთების ფათქუნით ჩამოდიან დედამიწაზე,

რომ ცოდვა-ბრალის

კვალი წაშალონ...“

ვაჟა ეგრისელი თავისი პოეტური მრწამსით ოპტიმისტია, რადგან არ ერიდება ამხილოს მანკიერება. პირიქით, თავისი მაღალმხატვრული ლირიკით სურს შეეხმიანოს თანამედროვეობის სასიკეთო ძვრებს და ამით თავისი აქტიური პოზიცია გამოხატოს.

... ასე ქმნის ჩვენი ეროვნული ყოფისა და ხასიათის შარავანდედიან სურათს ვაჟა ეგრისელი – სახეობრივი ხატების ეს გასაოცარი მეუფე!

მერი ბაღრიავშილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა

დოქტორი, პროფესორი.

თბილისი. 1992-1999 წწ.



შენ რომ არ იყო

მ. ე. გ.-ს

მინდა ისეთი ხოტბა შეგასხა,

ბესიკ გაბაშვილს

რომ აქვს ანაზე...

რა მამყოფებდა ქვეყნად მე მშვიდად,

აღბათ სიკვდილზე ფიქრი შემშლიდა,

შენ რომ არ იყო ამქვეყანაზე.

2009

კარნავალი

ამ წუთისოფლის ღამაზ ზეიმზე
მოველ...

მელოდა რადგან მრავალი,
ჩემი დღეები მტვრიან გზაზე კვლავ
მიირწევა.

მორჩა...

გათავდა

წუთისოფლის ეს კარნავალი,
აწი იმ ქვეყნად ველი მიწვევას.

1991



* * *

მთვარე ბავშვივით რომ არ წაიქცეს,
მას უხილავი ცის მინდორზე დგომას
ასწავლის.

მიწას წელულივით
აჩნია გუბე.

მიეზიდება ქარი დასავლით
წვიმების ხელით დაჩეხილ და
დაძენძილ ღრუბლებს.

1986



* * *

გახელილი აქვს ერთად ცხრა თვალი,
სად ნაკვერჩხლები
მარად ღვივიან,

ცას გადაივლის ოქროს ფეხებით
მზე –
რქებზე სანლებდანიტებული,
როგორც ღვინია –
და მერე ღამის უფსკრულში გადაიჩეხა.

1967



ო, ჟოზეფინა

ამქვეყნიური სიამტკბილობა

შარბათად შესვი და შეიფარე.
ნათლით მოხილო,

ღვთაებრივო,

ო, ჟოზეფინა!

და, აი, ახლა, ჩვენი სიბერე

დღისა და ღამის ფრთებით მოფრინავს...

ო, ჟოზეფინა!..

1989



* * *

ქარით გაცრილი ქვიშისმარცვლება –
ნაპირთან ყრია –
ქაფის ქვირითი.

შორს

ჰორიზონტზე,

ფრინველივით გამოჩნდა გემი.

ზღვა აღმა-დაღმა დააჯირითებს
გაუხედნავ და უაღვირო ტალღების რემას...

1965



კმაყოფილება

ფუჭი დიდების არ ვარ მძებნელი,
ვჯერდები,
მერგო რაც უფლის ნებით.
და.. „მიითვალე ღოცვად დუმილი...“
ვით უდაბნოში წყალს ბედუინი,
დარჩენილ დღეებს წვეთობით ვსვამ და...
ვუფრთხილდები.

1992



განცდა

თითქოს კვლავ გაგვცეს...

ურდო მონღოლთა

მოდის და მოდის...

ასე გარედან,

წვიმის ფლოქვების ისმის თქარუნი...

და სახლში ისე ჩუმადა ვართ, თითქოს

კოსტაა,

და შეთქმულება მიდის ფარული...

1962



მივალ დაღლილი

გიტოვებ წიგნებს...

ამქვეყნიური –

სიცოცხლისათვის, ეს მაქვს სამყოფი.

უცხო მხარეში მიავლ დაღლილი...

და სოფლის ბოლოს –

ჩემი არყოფნა,

სივრცეს შეემუის ბებერ ძაღლივით.

2019



მურგვა

ზის ლაფაროსთან და ყურებს იფხანს,
მუგუზლებივით უელავს თვალები:
ვეება თათები, თუმც მგლისას უგავს,
და ძლიერს,

ზოგჯერ აღმმოსდბა კატის კნავილი.
შავ-თეთრად ნაწერ, ჩემს ბებერ მურგვას,
კუდი აქვს დასმული –
კითხვის ნიშანივით.

1959



ღე, მარად მტკიოდეს

ბნელ ქსელში ახვევს ღამის ობობა,
ათას ჭირ-ვარამ გამოვლილ
ჩემს გულს.

მწამს, მელის უდაბნო და უღრანი...
ეჰ, საქართველო!

შენი ტრფობის უღელში შებმულს,
ღე, მარად მტკიოდეს ქედი – ნაუღლარი.



მარტმა იმარტა

თოვს და თოვს...

მარტმა იმარტა,

ბაღში ძახილი არ ისმის კვირტის.

დღეს ვართ დ ხვალ

ადარ ვიქნებით –

წერს კაკანათთან დაყრილ თოვლზე პაწია
ჩიტო

ციცქნა ნაფეხურების


იეროგლიფებით.



ვდარდობ...

უფლის დაგრეხილ დღეთა თოკებით
მე ვარ მიბმული დროის ანძაზე,
ირგვლივ სიცოცხლის და
 მზის ბადია.
და ვდარდობ მე ჩემს კეთილ და-ძმაზე,
რომლებიც ცრემლებს –
 ვერ დამადვრიან.

1990



არ შველის

მოვალთ,

აკვანში გვიწევს ჩაწვენა,

წავალთ, – კუბოში...

და... გვიცდის გლოვა შავით მოსილთა.

არც მღვდლის კურთხევა, არც დიაკვანის,

არ შველის, რადგან,

მოკვდავს მოსვლიდან,

ელის კუბოც და...

ელის აკვანიც.

1979



ჟამი განკითხვის

ადამის ძეო,
მიბაძე ნადირს,
აღარ განერთხო მომხდურის ფერხითო,
იმ ავაზაკის და არამკითხის.
აღფრედ დე ვინის მგელივით¹ შეხვდი
სიკვდილს,
როს მოვა ჟამი განკითხვის.

1972

¹ იგულისხმება ფრანგი პოეტის აღფრედ დე ვაინის – „მგლის სიკვდილი“.

ო, დედა ჩემი

სიკვდილმა სამჯერ ჩამოუქროლა
და სამივეჯერ
მოსტაცა დედას სამი ბიჭი, ათასს ნარჩევი,
მას მერე ჭაში იხედებოდა
და... აკეთებდა დედა არჩევანს...
ო, დედა ჩემი!

1983



უცებ ვიზრდებით

აბობოქრებულ ზღვაში ცხოვრების,
ჩვენ თევზებივით უცებ ვიზრდებით...
არ გვემინია და ვიფურჩქნებით.
თუმც ძილში ისევ ბინადრობენ
ავი სიზმრები,
მოჩვენებები ცხადშიც სხედან ღამის
ბუჩქებში.

1986



ათასწლეულებში გღია

თაზე დაგკივის და დაგჩხავის,
აღარ გვაშორებს წყვილადს,
უამი ავთვალი და ავსული.
ათასწლეულებში გღია
ქართლის
ყელგამოღადრული წარსული.

1971



მითარცა თორი

უცებ იქუხებს...

ელვა ბზარივით

დაედინება ჩემი ცის მიწას.

გაცვდება გული ცემისაგან, ვითარცა
თორი...

და სამუდამოდ დავიდებ ბინას
პეპლების ფთებით გადარწეულ
ყვავილთა შორის.

1989



მარტის სუსხი

შიშველი,
თვალეზხალურჯებული,
თებერვლის ტყიდან გამოვარდნილი,
ბაღებში თოთო კვირტებს აწვალებს...
და მარტის სუსხი, როგორც ნადირი,
დარძრწის ღამეში
და დაწანწალებს...

1989



გამთენიის ცა

ამაყ ხევსურეთა ხმები არ ისმის,
შავრა უღაყებს არ აგელვებენ.
გამთენიის ცა –
ველს ჰგავს კრწანისის
მორწყულს ღომგული არაგველების
და... ვარსკვლავების
სისხლის წვეთებით.

1966



მიმწუხრის ბაღი

ათი ათასი ჩიტის გალობით
დახუნძლულია მიმწუხრის ბაღი,
(ტოტიდან ტოტზე ხტიან ანცეპი...)
თუმც,
შაშვის ერთ ყლუპ
გალობად არ ღირს,
მათი ჟივჯივი და ღრიანცელი.

1961



ოქროს ასოები

მოვიდა,

გაშადა, –

ცის ღურჯი რვეული
და ვარსკვლავთა ოქროს ასოები,
სხვა სიყვარულით და სასოებით
ჩამოაწიკწიკა ღამემ.

1958



სული ამოდის

ეს მერამდენედ დილა თენდება

ასე წვალებით,

ვაი-ვინჩრობით.

ველარ მივალწევ მე სადამოდის,

დასწევვლოს ღმერთმა!

ვწერ და ვიდრჩობი...

ლექსი კი არა, სული ამოდის!..

1992



მხატვანა მთაში

ბარაზობს...

ბობოქრობს მამა-უფალი
და მოქათქათე ზეცას ათაღხებს.
მხდალი ღრუბლები ხევ-ხევ რბიან და...
მიბობლავენ...

ურჩ ანგელოზებს ღმერთი ურტყამს ელვის
მათრახებს,
ცრემლში იღრჩობა ღამის ბღავილი.

1967



თეთრი არაგვი, შავი არაგვი

ტყეში კოდალა მზეს აკაკუნებს,
ხეებს კვირტები ამწვანებიათ.
თეთრი არაგვი,
შავი არაგვი,
ვაზზე კი არა, ქართლის მტრების ჯვარზე
გაკრული,
წმინდა ნინოს
ნაწნავებია.

1971



* * *

როს ტალღა ტალღას გამოედევნა,
არ ვიცი რატომ,
მან მომაგონა,
ათასი წლის წინ
ხის რაშით რომ დაკეისრობდა
ის ცელქი ბიჭი, და კუდრაჭა ციცქნა
გოგონა,
რომელიც ზღვაში,
მღელვარ ზღვაში კენჭებს ისროდა...

1962



სოფლის დილა

გათენებამდე ცის ქვაბში ხარშა
და ამოაელო ნისლის
ლილაში

წუნარად და ფრთხილად,
მერე მამლების ყივილის თოკზე
მზემ გასაშრობად გაკიდა დილა.

1964



თბილისი მთაწმინდიდან

ერეკება ტალღების ტყეებს აღმოსავლეთით
და მეტეხთან იხვევა მტკვარი,
როგორც სპირალი,
ნარიყალას კვლავ ესმის არაგველთა
ძახილი.

წყლის ნაპირზე ღოღი ზის, როგორც ყმა
მომტირალი,
კრწანისის ველს უპყრია ობელისკის –
მახვილი.

1984



* * *

ჩვენ ვართ მდინარის ორი ნაპირი
და სიყვარული გავდოთ ხიდებად,
არ მივაკაროთ სიძულვილის და მტრობის
ნაღმი.

რადგან ამ ქვეყნის
ავლა-დიდება,
პოეტის ერთ კარგ სიმღერად არ ღირს.

1967



ჩურჩულენ ბუერები

ისმის ვაჟას სამრეკლოდან –
უკვდავების ზარის რეკვა:
რალა თქვენ გაგაუკვდავათ –
შენ ბუერავ,
ღვიაგ,
ღეკავ!
„ჩვენს საქმეში ნუ ერევით –
ჩურჩულენ ბუერები.“

1964



რემა ზელეზია

აქეთ მთებია და იქით ველეზია,

შუა ქოხებია –

კვამლით გამურული.

მიდის. მიიმღერის რემა შელეგია,

ნაურმალივით მისდევ „ურმული“ –

„მადლო ჩქიმი არაბა“ – უამთა საბუსკნავი,

„აშო ჩელათი და ვიშო ბუსკათი“.


1960



ქართლის სული

ნაცემ ძაღლს ჰგავს საქართველო,
ცას შეემუის...
და წკავწკავებს...
და... დღეს მღერიე ქართლის სული –
მომავლის თეთრ კალაპოტში,
ვხედავ, როგორ მიწანწკარებს...

1992



მტკვარი და მთაწმინდა

მაგრად ჰყავს შეკრული ხილთა არტახებით,
დედა თბილისს და...
აკვანს კვლავ ურწევს...
(მეტეხის ბორცვის ხელს უშლის კუზი)
აკვანში მტკვარი ბავშვივით უწევს,
ხოლო მთაწმინდა –
კალთაში უზის.

1966



* * *

გაღვიძებულ ტოტებზე –
ჩუქურთმიან ბუდეებს
სიმღერებით იწნავენ
და პაწია ნარჩიტებს,
ბელურებს და
წიწკანებს
ნისკარტებზე ჰკიდიათ გაზაფხულის
სიმწვანე.

1968



შენს მოლოდინში

თოვლის ქათქათა ზეწარზე წვანან
მთები –
ორსული.

ხეებსაც მოუჩანთ ფესვთა საცეცები.
და შენ მოლოდინში მთვარეც ამოსულა,
რომელიც მიგროვებს –
იმედის ნამცეცებს.

1965



ისევ, აქა ვარ

გავიდა უკვე მესამე კვირა...

დავმარხე დედა

(ჩემს ხოგაში)

ისევ, აქა ვარ.

და მარტოსული, ვით ისაკავა,

თავღრემლიანი, ხობისწყლის პირას,

„კიბორჩხალას“ და ჩემს ბავშვობას
ვეთამაშები.

1983



აბვისტო

სიცხის მკლავზე მომწვედელი

ცა,

კვლავ ქალწულივით კუთავს,
ტანჯვისგან რომ გამოიხსნას,
არც ბუა ჩანს და არცა თუთა.¹

ქარს კი ზურგზე მოგდებული,
სადღაც მიაქვს ღრუბლის ფუთა.

1988

¹ ბუა ღო თუთა – მზე და მთვარე. (მეგრ.).



შეიბნ მახვილი

„შეიბნ მახვილი!“ –

მთიდან მთაზე გადავბახოდი...
და... ამირანის „ბორკილთ მსხვრევას“

მეც მოვესწარი.

აწი იმ ქვეყნად წავალ მე შვებით.

გადაუხდიათ „მწუხრის ზეწარი“

და ქართულ მიწის ტახტზე წვანან –
ორსული მთები.

1989



შენ ქართველო!

გორგასალის და დავითის ძალა მოგდევს,
შენ, ქართველო!
ბრძოლებში არ „დაოსდები“,
თუმც წართმევა სურთ ავნივის და ტყვიავის.
საქართველოს გულში ისე ჩანს „ოსეთი“.
ვით ილიას ნათელ შუბლზე –
ნატყვიარი!

1990



ჩარბალში

მთებო! –

თოვლის ხელით ნაწერ

მოქათქათე თქვენს წიგნს გავშლი –

სადაც კაფიები მძივობს...

და ღმერთმა ქნას თქვენს კალთაში,

ვით ფშაველ დევს მიმეძინოს...

1992



ნიშა და ნიკორა

ცხელა და ცის ტრიალ მინდორზე
ტრიალებს მზე, როგორც
ჩიკორი,
მთვარეს კი მწუხრისას შეუვლის...
მიდის დღე და ღამე –
ნიშა და ნიკორა
და მიიცოხნიან ათასწლეულებს...

1961



ჰეფესტო

დღეები ყაჭისძაფივით –
ჩემს უცოდველ და ღამაზ გზებს
ცოდვის გორგალზე ართავენ
და ვარ ისე, ვით ჰეფესტო:
ღმერთთან სულ მუდამ მართალი,
მუდამ მტყუანი მეფესთან.

1987



რამზესის ეტილი

საოცარია თვისება მგოსნის:

მუდამ სხვათაგან უსმენელს
ისმენს,

მუდამ სხვებისთვის უხილავს ელტვის...
და აი, ახლაც, თითქოს დიდმიდან.

ათასწლეულთა ესმის მიღმიდან –
ბორბლების ჩქამი –
რამზესის ეტილის.

1990



ტყვიების ყვავილი

ჩემს თბილისს უნახავს ცეცხლიც და
მახვილიც,

მაგრამ ეს სხვა იყო...

ვერ ირჩენს იარებს.

ერთბაშად იმდენი ტყვიების „ყვავილი?!“

შეხედეთ! –

ქაშუეთის კედლებზე ნაყვიარებს,

ყველა ჩემს გულშია გავლილი...

1991



მგლის ლექავები

საფლავები გათხრილია,

კუბოები –

შეკრულია.

შურით,

მტრობით ვიბეკნებით.

ქართლის ლურჯ ცას შეეშვიან –

აღგეთს ზრდილი მგლის ლექავები.

1991



ყულების ღამე

ღამე ელვის შამფურებზე –

აგებს მნათთა ცვრიან მწვადებს.

ზღვას სუნი სცემს, და დევივით წუხს და
ხენეშის...

ქალწულ მთვარეს,

როგორც მიმტანს,

მოაქვს ღრუბლის რუხი პური –

ცის დიდ თევზით.

1959



* * *

გაჩენის დღიდან ბეწვზე ვეკიდე,
მაინც გადავრჩი...
ახლა მე კიდევ
ვევირი: სანამ სულს ამომართმევენ,
არც ინდი,
სპარსი,
არც სელეგკიდი,
ამ ბებერსა და ცოდვილ მიწაზე,
პირველ მოსახლე მე ვარ –
ქართველი!

1962



ბებოს ქოხი

ფიქრის სარკმლიდან ვუცქერი ბებოს,
 (კეთილს და გამხდარს,
 და წელში მოხრილს).
ცეცხლს როგორ ანთებს კერაზე კერპი.
მუხლამდე თოვლში დგას ბებოს ქოხი,
 ყავრის თუ ისლის –
 ახურავს კეპი.

1962



შეცდომით

აი,

იქ, მეზობლად ცხოვრობენ,
ერთი ახალგაზრდა და ბებერი.
გამთენიისას რომ ატყდა კვილი.

თურმე გზა აებნა სიკვდილს!!!
ყმაწვილის კარს მიაღგა...

შეცდომით!!!

1966



სასაფლაოზე

(თბილისი, იანვარი, თებერვალი, მარტი 1992 წელი)

არ გამოდიან მიწიდან გარეთ,

არც ჭაჭანება...

არც მასლაათი.

– რა მოხდა?

– ისეთი არაფერი! –

– ათასწლეულიაღნ – ათასწლეულამდე,
სიკვდილმა გამოაცხადა კომენდანტის საათი...

2

ჩაკეტილი აქვს გულის კარები.

დაგმანული აქეთ სიჩუმით ყური.

ქვის მაგიდეზე უდგათ წყალი, ღვინო და პური,
მაგრამ რად გინდათ!

უბრალოდ თითს არა აკარებენ.

მკვდრებმა შიმშილი...

მშრალი შიმშილი გამოაცხადეს (!)...

1992

(იუმორესკა)

ნაფაზზე ურტყამს ნაფაზს,
ჩემი მოხუცი პაპა
და თავს მაინც გრძნობს მხნედა.
სათაფლეებად იკეთებს – კვამლის რგოლებს
და...სიკეთეს.
მაინც ვერაფერს ხედავს.

1950



გაზაფხული ტყეში

მზე ფოთლების დაირაზე –
სხივებს ურტყამს...
აი, რაზე,
კვა-კვა-ვებენ ვასაკები...
ხეებიც რაც დაირაზმენ,
არის ცისთვის გასაგები.

1962



ბელურას ბუდე

მზით და ბალახით შემოღობილი,
შემოსახული ფრთითა და კუდით,
ღარიბ და...

ციცქნა გლეხის ქოხივით.
ჰკიდია ხეზე ბელურას ბუდე,
და შიგ აპრილის მზით დაჭორფლილი
სამიოდ კვერცხი განძივით უღევს,
საწყალ ბელურას.

1971



ღაბრუნება

დაუჩიჩქნიათ საბოსტნე ღორებს...

მკვდარ ბაყაყივით პირადმა გდია
დედის ნაქონი ვარცლი და გობი.

შემოსკუპულა მესერზე ყვავი.

დუმს ჩემი სახლი –

ძვალი და ტყავი,

ეზოც –

ჩამტვრეულ ნეკნების – ღობით.

1985



1937

მომრავლდა...

გახშირდა სიკვდილთან თამაში...
სიკვდილს ეთამაშებოდა ძმა-ძმას და
მამა-შვილს.

დაძრწოდა გაცემა...

ჰყვოდა ლალატი,
თვით განგების თუ კაცის უფლებით.
იდგნენ სკამებზე და...

სიკვდილს და ჯალათებს
სათვალეებად ეკეთათ ყულფები.

1968



გაფრენილი მერცხლები

სხედან ხსოვნის აივნებზე,
როგორც ჩვენი წინაპრები,
(ახლა რომელთ მოსავთ ღამე...)

მხრებზე –
შავი მოსასხამით,
მკერდზე –
თეთრი წინსაფრებით

1967



* * *

ჩემი ხახული, ტაო და ბანა,
შავი წარსულის –
ცრემლ-სისხლში დგანან...
(აღბათ სიკვდილი არ აცილდებათ)
და მოქნეული, ვითარცა დანა,
მათზე ოცნება გულში ცივდება.

1989



ყვავ-ყორნები

არც არასდროს აყოვნებენ –

ყვავ!

ყვავ!

ყვავ!

ყვავ!

ისმის მერაღთა.

სამასი წლის ყვავ-ყორნები

ისევ დინჯად სცემენ ბოლთას,

ბებერ უამის სახლის კართან.

1950



დავეძებ ტყაშმაფას

ხან ბავშვურ ცთუნებებს აყვები და ზევსის
არწივი მიტაცებს...

ხან ტყეთა სიმწვანით ენაყრდები

მე, ოჩოპინტრე და ტყისკაცი.

ჰყვავიან მდინარის პირები...

მეძახის მკათათვის მკა-კაფვა.

და მყვირალობისას ირმების, –

დავეძებ ტყის ქალწულს –

ტყაშმაფას,

1956



ცა იმიტომ არ იქცევა

ღვთის ნაგები ბროლის კოშკი –

ცა

იმიტომ არა იქცევა,

მიტომ ასწრებს დამარჯნებას,

დღისით მზე და...

ღამით მთვარე,

მუდამ თან აქვს ყავარჯნებად.

1958



ახირებული ზიძრო

ქართულ სიტყვის ზღვა ბორგავს და
პოეზიის ქუხს მდინარე,
ტალღა ტალღის მისდევს მწვევარს...
თფუი, ეშმაკს!
და არული.

აწ ვერავინ დამეწევა,
ვერც ბრასით და ვერც მხარულით...

1958



თვალები

სიყვარულისთვის,
შურისთვის,
ზაკვისთვის,
ჩამწყვდეულია თვალები დილეგში
და ღამით ადევთ გისოსები წამწამების,
ასე უძილონი და ნაწამები
ელიან დილას...
ხოლო დილით რომ არ გაიპარონ,
„წარბები –
ნაგაზები“ გაწოლილან.

1961



ბრმა შეყვარებული

„როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,
სიყვარული ისე დამჯახებია!“

გ. ლეონიძე

ხმა არასდროს გაუგია,

არც არასდროს დაენახა...

ამ ცხოვრების „მეტისმეტად“

კმაყოფილმა,

დღეს გაიგო (გულზე როცა დაეჯახა)

სიყვარული, მასავით რომ ბრა ყოფილა!

1955



* * *

დაწანწალებენ ზამთრის დღეები –
მზის და სინათლის
უარყოფენი,
სითეთრით წყურვილს ვერ იოკებენ,
სცივა... და კვამლის მსხვილი
თოკებით –
ცაზე ჰკიდია ჩემი სოფელი.

1955



ჭაჭანება კი არ იყო არსთა

პატარა,

სველი ნაფეხურები

აჩნდა ქვიშას, ვით ნალურსმანევი.

ჭაჭანება კი არ იყო არსთა,

მხოლოდ მუხლმოყრით მზე იდგა ზღვასთან,

ვით თამარ მეფის წინ –

რუსთაველი.


1954



თუთარჩელა

თეთრი ღამის თეთრ თაროზე
მთვარის თეთრი დგას
ჭურჭელი.
სხივები კვლავ გამორჩევა ღამემ და...
თეთრ ცაში ყრია –
ვარსკვლავების ნაჭუჭები.

1955



წიგნი „ოდისეა და ილიადა“

შოირს...

წარსულში ბორავს ტროა,
მაგრამ, კარგად აქ, კი მესმის
კენესა... ცრემლის დოქების ხმა.

ფარის რეკვა აქილევსის –
„ტროიას ცხენის“ ფლოქვების ხმა.

1957



ჩემი ბინული

როცა სოფელში –

ხმა მომესმა ჩემი ბინულის,
ო, ღმერთო ჩემო! გულში დარდის გაღხვა
ყინული...

1956



ო, ალბათ მიცნეს

ფიქრით, შორეულ წინაპართა კვალს რომ
მივსდიე,
თავს წავადექი ქვის ბუნაგში მძინარ
მიდიელს.

გაიღვიბა და გაიზმორა ათასწლეული,
შემრცხვა, ტიტველი უჩნდა სხეული,
ქვის კარებს იქით ხმა მომესმა: ადექით მეთქი,
ძმა მოგვივიდა, ძმებო! – შუმერ!


ქალდი და
ხეთი!

მათ გამიღიმეს... ძმა უმრწემსი, ო, ალბათ
მიცნეს...

სხვა არაფერი...

უკაცრიელი მოჩანდა სივრცე...

1967



იქ, მთების კოშკებში

ცა შავი ღრუბლების
ხარ-კამეჩებით
ხნავს ღამეს... უჭირავს ხელთ მთვარის
სახნისი
და ელვის სახრეს გადაკრავს მაღლობებს...
თოვლის დედოფლები ჰყავთ
დიასახლისად
იქ,
მთების კოშკებში –
ღევები სახლობენ.

1981



ღმერთი

(იუზორმსკა)

ანგელოზებს კვლავ უკითხავს ღმერთი,
ლოცვებით ნაწერ
მლოცველთა წერილს
და ჩაახველებს ხან დაეჭვებით,
სწორეთა:

ელვამ მოაწერა მას გაკვრით ხელი.
ღამემ დაუსვა მთვარის ბეჭედი.


1959



* * *

ვისაც მოელის,
იგი არ მოდის,
ზღვას მოწყენილი გაცქერის გაგრა,
და... ალბათ ასე იქნება ფოთი,
ჯერ შემოდგომა,
შორსაა, მაგრამ
გამოერია ჭადარა ფოთლებს.

1969



ბნელში უელავს თვალები ჭოტის

ის ერთი რამით მოჰგავს ძველ მონგოლს,
სადაც ისურვებს,
იქ დაცემს კარავს.

ბნელში უელავს თვალები ჭოტის.
მზით განათებულ შარა-გზით არა,
ის, მუდამ ღამის ბილიკით მოდის...

1967



უკვლავება

სიკვდილის მერეც აღარ ველოდი,
როგორც ღორკა და
როგორც ოვიდი.

მას დღის მნათობი გულზე ებნია
და თავის ფეხით ჩემთან მოვიდა,
მე
ის
არასდროს არ მიძებნია.

1999



სკოლის წონ

„ფროსილად, ბავშვებია!“

შეღებილია ასფალტი წითლად,
პატარა ჩანთა მიწაზე გდია
და ისმის მოთქმა:

– შეიღოო!..

შვილი...

უცებ თვალეში ჩამასხეს ტყვია
და დამიგმანეს ყურები ცვილით...

– შეიღიო!..

შვილი...


1999



ჩიტები

მიმწუხრის პირას მწვანით მოსილნი,
 ღამეებივით დგანან ნაძვები
 და წამებივით ცვივათ წიწვები...
შიშის ტოტებზე სხედან ჩიტები
და თეთრ სიმღერებს აკოწიწებენ...

1956



სად მიდის ეს გზა

მე, მოველ შენთან...

უკეთესი ვერავინ ვპოვე...
მზის სადღეგრძელო! – შენ უნდა შესვა.
და ჰკითხა პოეტს:

– სად მიდის ეს გზა? –
შენ რომ ახლა პარალელს ავლებ?

– უკვდავებამდე, მაცხოვარო!

გოლგოთას გავლით...

1992



მხარგრძელის ნათითარი

*„უხეთქა ხელთა პირსა.“
ქართლის ცხოვრება.*

ვითარცა თათარს –
მხარგრძელის ნათითარი,
სახეზე აჩნდა ცას –
ცისარტყელა.

1969



* * *

ძალმიღებული მზე არის ქორი
და ბრჭყალებში ჰყავს
სამყარო თეთრი,
რომელსაც სხივთა ნისკარტით კორტნის.
ზის ცივი ზამთრის
მოწყენილ ტოტზე
ორი ბელურა – მამრი და მდედრი.

1989



* * *

რა წყალში ჩავეარდე,
ახლა ეს მითხარი!
რა ვქნა და რა გიყო
სათნოს და საჩინოს.
ამ წიგნში საფლავი იქნებ გაგითხარო
და იქნებ... სიკვდილსაც
გადაგარჩინო!

1966



შუაკერა

შეშას თავი უღევს
კუნძის გილიოტინაზე,
თვალებს აბრიალებს
და ცეცხლი დიდგულობს –
აქვს აღზე ნაწერი
ნაკვერჩხლის წერილი...
ლობიო იხარშება, შუაკერას მიდგმული...
ქოთანი ქოთქოთებს ავ დედაბერივით.

1957



თავშესაზარი

მზით და სინათლით შებუმბულეები –
ჩემი დღეები
ხმას სულ მალე დაიბოხებენ,
რადგან ადგილის დედა აქ არის.
და როცა წავალ,
აქ დამრჩება ლექსთა ქოხები –
ჩემი სიცოცხლის მარადისი თავშესაფარი...

1959



* * *

შემომხვედბა და სულთამხუთავი
ამომიბრუნებს წლებით საესე
სიცოცხლის ჯიბეს
და „აქ“ ყოფნაზე დამიწყებს დავას.
ჩავეყები ჩემი სტრიქონების დატეხილ კიბეს
და... ვით სარდაფში,
„იქ“ დაბლა ჩავალ.

1989



* * *

ახალგაჭრილი საფლავები ჰგეანან
სომადღებს –

ანძეხად –

მაღლა აღმართული ხის ან
ქვის ჯვართ
და მოქათქათე დღეების თუ წლების
აფრებით,
რომ მიცურავენ დავიწყების –
ოკეანეში.

1961



მოულოდნელი ზამთარი

მოულოდნელად, როცა ზამთარმა
თეთრი შარვალი ჩამოიხაჩა.
სადაც ცხოვრობდა ბეცი ყურცქვიტა,
ჩუმად დაიღო ბინა იქ მანქმა,
მერე მოვარდა ქარი მთვრალივით
და მაყვლის ბუჩქებს დაექიჩმაჩა.

1964



* * *

გადაუღებლივ ჟინჟღავს დას ჟინჟღავს,
დღე გადის ოცი,
თუმც წვიმა ისევ კოცნის და კოცნის,
ნაიარავეს კი მაინც ვერ ურჩენს –
ბროწეულების დახეთქილ ტუჩებს.

1967



* * *

ქართან თამაშით გართულ ხართუთას,
მოუსვენარ და ცვლქი
ბავშვივით,
დათხუნული აქვს ხელები მელნით.
ცას –

დაკერებულივით აჩნია მოვარე.
ნაკუწ-ნაკუწ დახეთქილს ელვით.

1964



* * *

მასსოვს, დამბებში „ბაყაყ-გორდების“
აყაყანება უცებ ბაზრული.
ოქრონარევი წვიმა აპრილის.

ცა –

ვარსკვლავებით გადაჩხაპნილი
და მერე ელვით გადახაზული...

1961



სამნი...

(ძმები: ვაჟა, თელო, ბახანა რაზიკაშვილები)

სამნი იყვნენ, ვით სამება...

ყურს უგდებდნენ იის მოთქმას და

ბულბულის

„ტია, ტიას!“

სამნი იყვნენ და კოცნიდნენ ქუჩს, ბუერას

დეკას, ღვიას.

სამნი...

მაგრამ ერთი იყო, – როგორც გასროლილი

ტყვია...

1957



წრმი

მიმწუხრის პირზე მინავლულ ლოცვის
ჩუმ და ვარდისფერ ბურუსში
სძინავს
და ღამაზ სიზმრებს კვლავ ხედავს წრმი.
ღამე კი,
მთვარის მოვერცხლილ პინით,
ბაჯადთლო ოქროს (მნათობებს) წონის...

1991



* * *

ჩემს ბავშვობიდან თუ მეზობლიდან,
თითქოს და აკენის მომესმის
რწევა.

გასასვლელს ეძებს სარკმელში მწერი.
არაუარ ავად.

და მაინც ვწევარ,
თავს ვირთობ ციციქნა ლექსების წერით.

1992



* * *

მკერდახსნილ ცას, ვით ამორძალს,
ღრუბლის თეთრი
ძუძუ უჩანს,
მიტომ იკრავს ვარსკვლავების ოქროს
ღიღებს.

მე სიცოცხლეს მივდივინებ –
სიყვარულის ფართო ქუჩას...

1958



ხორბაში

აწ ხნოვანს,

სტუმრად ჩასულს სოფელში,
ბავშვობის ტკივილის გამიყუჩებენ:
(შემომხედავენ როს გაკვირვებით)

ჩაფლა ლეღვები –

დამსდარ ტუჩებით,
ბროწეულები – ოქროს კბილებით.

1992



ღვას ცისარტყელა

ნაჯახით ხელში,

ჯირკზე ზის კაცი,

ხე კანკალებ და ჟივჟივებენ ბარტყები.

ცას მოუხურავს ვარდისფერი ღრუბლების
დიბა.

წელში მოხრილი მინდვრის ბოლოს

ღვას ცისარტყელა

და წვიმის წყალით –

შვიდფარდ დაშლილ ნაწნაეებს იბანს,

1959



* * *

შავი ღრუბლების რომ ხურავს თავშალი,
მდინარე ჩემს ბებოს მაგონებს,
თუ უჭირს, გადავა კლდეებს ტინებიანს.
შენაკადები ხომ –
შვილიშვილებია,
ბებოს კაბის კალთას ეპოტინებიან...

1961



* * *

როცა ფოთლებით დაფენილ შუბლზე,
ივლისი, ჩუმად,
სიცხით დამსკდარს დაადებს ტუჩებს,
წამსვე მწყერივით სულს დაღევს დელე,
დაცხება ღრუბლის სქელ საბანში,
მძინარე ელვას
გამოყრის გარეთ ვარდისფერ ხელებს.

1982



* * *

ოსმალო არა!

და არც სპარსელი!

მას მოსაკლავად ქართველი მოსდევს.

ქარის უსწრაფეს მიჰქრის იაბო,

და საუკუნის წყვილადს მიაპობს

სააკაძე და... ბედკრული ნოსტე.

1969



* * *

ჩემი შვილების დავიდებ ცოდვას,
როცა საათი ჩამოკრავს
დილის.

მე მივატოვებ საყვარელ თბილისს.
დებს კვლავ ჩავაცვამ დარდსა და გლოვას
და, დედაჩემო!

იქ, –
შენთან მოვალ!

1992



* * *

დიდხანს ველოდი უფლის წყალობას,
უღმერთო ცისქვეშ ბევრი
ვიცადე.
დარდის თოკებზე ეფენდი ფიქრის ფარჩებს
და დიბებს.
და შენთან მოველ,
სილამაზის –
ციხე-ციტადელს,
მაინც მივადგი სიყვარულის მაღალი კიბე.

1966



მებორნი

(ნოე პაჭკორიას ხსოვნას)

ვო, ნოე! –

უხმობენ მებორნეს...

ძახილზე ძაღლები ღაღღავენ...

ნაპირთან ირწევა ბორანი,

მამალმა,

ღამაზი შუაღამე,

ჩანიშნა –

ცივილის ზონარით.

1954



* * *

ზამთრის დღეები ქარების ბარით,
ტყე-ღრეებს თხრიან უშვილ-უძიროდ,
ასწლეულებმა რაც დაუტოვეს –
ნაყოფიერი ბუნება სურთ აქციონ ბერწად.
ცა კი, მიწაზე გადაფენილ თოვლის თეთრ
ზეწარს,
მზის ცხელ უთოთი კვლავ აუთოვებს.

1965



* * *

შორიდან მოსულ სველ-სველ ხომალდებს,
ქარი უშრობდა მოქათქათე
აფრის პერანგებს.

ზვირთთა კიბეებს აღმა აყყევით.

მზეს კი ცივ წყალში ჩასვლა არ სურდა,
ებჯინებოდა კლდეს იდაყვებით.

1972



* * *

წვიმს...

ვზი კარავში სელგანაბული,
ერთი იხვიც ვერ მოვინადირე,
თუმც ცდა და ზრუნვა არ დავაკელი.
ცაზე ელვა კი ისე გამოჩნდა,
ვით შავ ქსოვილზე თეთრით ნაკერი.

1958



* * *

აღმოსაგლიდან ვიდრე დასავლით,
დრუბლების ნაღველს სვამს
ბარძიმებით
და ყველაგან დახტის ელვა – ტურისტო,
გულმკერდფიქალ ცას ებღღარძუნება,
ცივი დეკემბრის მზე –
საჭურისი.

1962



* * *

შუაგერაზე ტკაცუნებს ცეცხლი,
ამბავს გვიყვება მოხუცი
პაპა...

აღს ეფიცება და მჭადი ცხვება.
შეჰყურებს ძაღლი
და ნერწყვებს ყლაპავს
და მჭადის სუნით ძღება დაა ძღება...

1956



სიცოცხლე სხვა არაფერია

ეს არის მოკვდავთა ცხოვრება:

დღისა და ღამის

გადაშლილ ნარდზე,

გორება მზისა და მთოვარის კამათლის...

და, ცასაც, ვით ყოფნას,

შავ-თეთრი ფერი აქვს.

სიცოცხლეც,

სხვა არაფერია,

თუ არა, სიკვდილთან კამათი...

1986



ქორწილი სოფელში

პირიდან ცეცხლის აღს აფრქვევდნენ
თოფები,

ყალყზე აყენებდა ტაიჭებს
მაყრული,

და მიღმა სიბნელის და ტრიფოლიატის,
ეზო –

ხისფესვებით ნაწერი გაკრულად,
ღამეში ეგდო, ვით ფოლიანტი.

1976



* * *

შავითმოსილები მიდიან მთებისკენ
დრუბლები –
ტირილით დარდებს იქარვებენ...
ზღვაზე კი, შიშვლები, ვითარცა ბაღლები,
(როცა დასაჭერად მისდევენ
ქარები)

ნაპირზე –
კისრისტეხით არბიან ტალღები.

1967



* * *

დაეყრება ბურბღლად ღამეს –

კიუ!

კიუ! –

მოთქმა ჭოტის.

და ძაღლების ვუა!

ვუა!..

როს ღრუბელი ჩუმად მოსტეხს

კეცა მთვარის –

მჭადის ყუას.

1961




ლიფსიტები

წყალშიც და ხმელეთზე –
ჯუნგლის კანონია,
ხშირ-ხშირად ერთმანეთს რომ
ითვალწუნებენ,
ზღვაშიც და მიწაზე არიან
ისეთებიც...

წყლის ბინადარნი –
პატარა ქალწულები,
შიშველი დატანტალებენ ლიფსიტები.

1957



* * *

ცისარტყელას საუენით ბევრჯერ გაზომილი,
კილომეტრებად და მილად,
გადმოიარა ამერიკა და აფრიკა,
მზის კალთით ხელში
მოვიდა დილა
და ვარსკვლავების ნაყოფით დახუნძლული
ცა – გაკრიფა.



იმ ქათველ ვაჟკაცს

ღვთის ანაბარა, დარჩენილ ღვდის –
ცრემლი და ოხვრა
ჩაუღის წვიმად,
(ამ ჯვრიან სვეტთან, ამ ბუჩქთან ტვიის)
იმ ქართველ ვაჟკაცს,
რომელსაც სძინავს.
უღვთოდ განგმირულს ქართველის ტყვიით.

1991



ღეღა ჩიტი

ბუდეს, ვითარცა ასაღებ ციხეს,
გარშემო უვლის და აღყას
არტყამს.

მიდამო ტყითაა დაბურვილი.
ღამით და იმედით შებუმბლულ ბარტყებს,
ეზრდებათ ფრთები –
გაფრენის სურვილი.

1962



* * *

აქ, ადრე,

წირვის და სანთლების რიურაჟზე,
ისმოდა ფრთათა მწუხარე შრიალი
ანგელოზების და ამურების...

ახლა მიტოვებულ საყდარზე
ჰკიდია,

შავ-შავი ზარები – დამურების.

1971



მარტო დატოვს

(ძმის ხსოვნას)

სულ მუდამ,

თურმე, ეშინოდა მარტო დარჩენის
და არასოდეს ტოვებდნენ მარტო.

როცა ესტუმრნენ,

სახლში დახვდა ის „დიდ ბატონებს“,
რომლებმაც ჩუმად წაიყვანეს რიჟრაჟზე
მარტის.

რა ექნათ...

მაინც,

მცირე ბორცვთან მარტო

დატოვებს...

1963



თავს იწონებს

ცა –

ულამაზესი ქალწული,

მზე ჭაბუკმა

მიატოვა და დაიწუნა.

(რადა ქნას, ფიქრები აწვალებს...)

და, ახლა, ნამტირალევი თავს იწონებს,

ცისარტყელას

შვიდფერი ნაწნავით.

1977



* * *

– ღმერთმა აცხონოს და გაანათოს –
იტყვიან

და პურს ჩააწობენ ღვინის ჭიქაში,
რომ „იქ“ მიმავალს მომეფერონ და
დამიყვავონ.

და ერთკაციან კუბოს ნავში

მე ჩამაწვენენ,
უცნობ ნაპირზე სიკვდილმა რომ
გადამიყვანოს.

1992



ცუცუს და რახილს

ცეცხლს გულში მაგრად ჩაუკრავს ქვაბი,
არაყს ხდიან და...

მოწვეთავს რახი.

სსოვნის პეპელა, თვალწინ ფარფატებს...

და მე ვიგონებ ცუცუს და

რახილს –

დებს –

სილამაზის ყალმით ნახატბს.

1991



* * *

რა საჭიროა დიდრო და კანტი,
წუთისოფელი, რომაა ფლიდი,
რომ ათასნაირ მახით და კვანტით,
ჩვენს აქ ყოფნას რომ არყოფნით
ნაღმავს.
მაგრამ სიცოცხლით, – ამ ბეწვის ხილით,
უნდა გავიდეთ სიკვდილის გაღმა.

1965



* * *

„ჩვენ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ“
ხალხური.

მწვანეს იცვამენ გაზაფხულები,
თეთრად ჰყვავიან ზამთრის
ბაღები...

არრა ატყიათ წუთისოფლის კვამლთა და
ბოლთა.

ღამის დარბაზში ზის სიკვდილი და...
მისაღებში

ჩვენ შვილნი მისნი,
სიცოცხლედ ვხმობთ,
იქ ნაცემ ბოლთას.

1967



* * *

აღარა ჩანს ცა და მიწა,
თერი ჩაღმით,
როგორც ურდო,
ფეხაკრეფით მოდის თოვლი...
და ჩემს თბილისს –
ადებს ურდულს,
ადრე მკვდარი ზამთრის ხსოვნის.

1989



* * *

ვით მგლების ხროვამ უღელო კვიცი,
წინ გამიგლო და უკან წამით
არ მომახედა
უნდო ღლეებმა და მიწაში უხოდ მკეტავენ.
სად არის ღმერთი!

უამთა ქარმა ერთად წახვეტა,
იყო, – არ იყო წასახვეტავი.

1980



* * *

ყვიან მამლები...

მაინც არ თენდება.

ფიქრები... ფიქრები შავი და მძაფე.

სადღაც,

სოფლის ბოლოს, გარმონს აკივლებენ...

დილის ჭიშკართან წევს ღამე, ვით ბამბურა

ძალდი

და იღრინება ვარსკვლავების კბილებით.

1964



* * *

წვიმს და...

ირევა ფიქრის მორევი...

დამადრწოს ლამის, შენ კი სადა ხარ!

ღამეა შავი,

დიდი და მძიმე.

ამ ყიამეთში მხოლოდ ხანდახან

შეარხევს ღმერთი ცად –

ელვის სიმებს.

1964



* * *

თოვლის თეთრ რაშზე ამხედრებული
მოდის ზამთარი –
დღეთა ამალით.
გათენებას კი, ისევ ისე ყივის მამალი.
ეჰ,
დედამიწამ ბევრჯერ დამალა,
რაც აღარ იყო დასამალავი.



* * *

ვერ გადაურჩა უამთა ქარიშხალს,
რაც იყო ჩემში –

კარგიც და ცუდიც –
რასაც ამქვეყნად შევციცინებდი.
და მაინც, როგორც პანდორას ყუთში,
გულში,
ო, გულში,
ერთადერთი დარჩა იმედი.

1971



* * *

აემუვლდებიან ძაღლები მყისვე,
როდესაც იგი მიაკითხავს მათეს
და ლუკას.
არც შეცოდება, და არავის შიში და ხათრი.
გველაპავს სიკედილი ბაყბაყივით
სულ ლუკმა-ლუკმა,
ჭირისუფალთა ცრემლს აყოლებს –
წუხილის კათხით.

1968



✠

* * *

ტანზე აცვია უმოვარო ღამე,
სახე ძაღლს უგავს მრუმსა და მურდალს,
მკვდართა სულები –
იქ ჰყავს უკლებლად.
მოუცლელი და მშიერია სიკვდილი მუდამ,
გზა და გზა –
ჩვენ სიცოცხლეს ილუკმება...

1967



* * *

ჩამაცვა გალობის ანაფორა
და პოეზიის უდაბნოში –
უფალმა აღმკვეცა ბერად.
მირონით სავსე მაქვს მზის ამფორა,
მას უამი
ვერ დაამსხვრევს, ვერა!

1989



ნახსენები ღღეები

ასოებით თეთრი ფიფქების,
ცივ ზამთარს წერდა მიწის შავ დაფაზე...
შლიდნენ და შლიდნენ მას პატარები.
ობოლ დღეებს კი თოვლს და ჭყაპში
დაატარებდა

მარტი – დედინაცვალი,
ჭრივეული და კაპასი.

1979



* * *

მშიერი და შიშისმგერიელი,
დღე-დღეს მისდევს...
და წელს – წელი...
ვერთვი უამთა წყვილიადს.
ჯერ არსით ჩანს... მუდამ ველი...
ჩემს ცხოვრებას „მოლოდინი“ ჰქვია.

1968



* * *

მიყვარდეს ყველა –
დამბადებელმა,
გამომიტანა, ვით განაჩენი,
და მტერზე მუდამ მან გამიმარჯვა,
მადლობელი ვარ ჩემი გამჩენის,
სიყვარული რომ შემაჩენა
ხელში ყავარჯნად.

1967



* * *

ტყემ მიწას ისევ გამოუგზავნა
მოქროვილი ფოთლის
წერილი,
წერს: სხვა მიჯნური მე ქვეყნად არ მყავს...
გადაჭრილ მორზე ზის კოდალა
დედაბერივით
და უამს ნისკარტით
ნაყავს და ნაყავს.

1962



* * *

ყველა კანონი იცვლება ქვეყნად,
იმ ერთადერთის,
იმ სიკვდილის კანონის
გარდა.
იგი არ მისდევს უამთა ცვალებას.
მისთვის ერთია „დიდი“ და „მცირე“,
ყრუცა და მუნჯიც.
მან აღარ იცის შეცოდება და შეწყალება,
ყველას და ყოველს –
ის სიკვდილს უსჯის
და... გამორიცხავს გასაჩივრებას.

1968



ელვის ნათელზე

ცის უდაბნოში დგას ღრუბლების
ციხე-კოშკები,
გვაცვივა მტვერი მეხთატეხით
ნანგრევ-ნაშალი
და მიწა წვიმის მავთლებით ცას უერთდება..
ელვის ნათელზე –

სამოთხისკენ მავალ
გზა-შარას,
ტანჯვა-წვალებით მიიკვლევენ ბნელში
ღმერთები.

1950



თვალი გაახილეთ

თენდება!

ბორანზე –

იღვიძებს

დახილი:

შეხედეთ, გორას მზე

მოადგა,

თვალი გაახილეთ!..

1962



მსმის სისინი

წიგნების ფურცლებს, როგორც ბრძოლის
ველს,

„მეტაფორებით“ ნაღმავს
და ნაღმავს...

თვალბედითების ესმის სისინი:

– ის სტრიქონების ბეწვის ზოდით თუ გავა
„გაღმა“

და თუ არადა,

ელოდება ღამე –
ფისივით.

1967



წივის გვირაბი

მივალ და გავცქერი –

ჩემს კოლხურ სანახებს,
ფაზისი ყოველთვის მედვას მაგონებს.

იმერთა მთები კი –

ჭაღარა პაპას.

და ნისლის ქვაბებში მოხარშულ ვაგონებს,

მშიერი გვირაბი ყლაპავს

და ყლაპავს...

1961



1991 წლის 23-31 დეკემბერი

ძმა, ძმას ჰკლავს... სუფევს ქოსი.
ძნელია ამის ატანა!
და ქართულ სასაფლაოზე
დგას და ხარხარებს სატანა...
დღე არის დამით მოცული...
აბა სად,
ვისთან იჩივლებ...
და მუხლმოყრილი ვლოცულობ:
სამშობლო გადამირჩინე!..

1991



* * *

ბავშვივით ისევ ტირის ღრუბელი,
რადგან ღმერთებმა,
მშობლიური ცა გაულახეს
და შეუსიეს მოსისინე ელვის გველები.
გრიგალები კი ხედნიან და
ზვირთთა ულაყებს –
სანაპიროზე დააგელვებენ...

1988



პეკლები შუა ღღის მზეში

თავს ევლებიან ქალწულ ყვავილებს.

ცას და ქვეყანას სხვა ეშხს
მატებენ.

აღარ არსებობს მათთვის კვირა და არც
შაბათი,

მუდამ მთვრალეები ყვავილების მზით და
შარბათით,

შუა ღღის ხვატში დაფარფატებენ...

1973



მთიები

ღამის ტოტებზე სხედან მთიები
და მარად ჩვენსკენ იმზირებიან,
ნახვის წყურვილს კი ვერ იოკებნენ.
სცივათ... აცვიათ (ღრუბლის ძველა)
ტანთ დაბამბული.
მთვარეც სინათლის თეთრი თოკებით,
ცის უდაბნოში –
მათ ჰყავთ დაბმული.

1988



არიაღნეს ძაფის გორგალი

გამთენიისას ბრძანებს:

მომგვართ!

და ყველა სანთელს ერთად ჩამიქრობს
„ის“, ვინც თეთრ დღეებს ელვად მინთებდა.

მაგრამ მზის სხივი, –

არიაღნეს ძაფის გორგალი,
მე გამომიყვანს ლაბირინთიდან.


1990



* * *

მხოლოდ იმ ერთმა უწყის ამ ქვეყანაზე:
გადავიწყების ბილიკებით რომ
გაიპარა
ასჯერ ასი თუ ათასი წელი,
რომ გაზაფხული მთების ჯიქნებს წველის
და
წველის
და მოთქრიალებს –
ქათქათა რძის მდინარეები...

1969



მგლის სიკვდილი

ტყის განაპირას,

მძორთან ფაშატის,

ძვლების,

თოფების შავ სიუხვეში

ეგდო ნაბრძოლი და ნირშეცვლილი.

და სუთამობრძავს ვულკანებად ქცეულ

გუგებში –

შურისძიება ენთო –

ცეცხლივით.

1959



ჰა და ჰა

ეს ჩემი ციხე და სიმაგრე,

სხვამ არა!

ქართულით მე ვლესე

ვეძებდი... და მუდამ ვპოვებდი!

თითქოს და მე „მესხი მეღვინე“

ჰა და ჰა, მე, „თითქოს პოეტი.“

1992



8

ასკილი ციხის ნანგრევებზე

გაზაფხული კვლავ ქარის რაშზე
ამხედრებული
მწვანე ფაფანაკს
მოაფრიალებს.

ფაზისთან არა, გადაღმა ღიხის,
იქ, შიდა ქართლში, ტყვიავთან თუ ახლო
ავენევთან,
უთეთრეს დროშით დგას ნუშის ხე –
ნანგრევზე ციხის,
ვაგლას! მტრის ურდოს –
ათასწლეულს ციხე დანებდა!

1989



უფალო ჩემო

მსურს შეგახსენო თავი ჩემი,

უფალო ჩემო!

ჩემი ყოფნაა –

სულ ერთი დღით – ფარფატა პეპლის,
და უამს მწუხრისას, მუხლმოყრილი ღოცვა

მხევალთა,

და სულ მომაქვს საღამოს მსხვერპლად,
შენს უსპეტაკეს საკურთხეველთან.

1971



ოფოფი

ეპარება და...

გამოჰკრავს ჩახმასს,

ექო გადაუფრენს ტყეებს და მთებს.


მაგრამ ოფოფი სიკვდილს ამარცხებს,

დარჩენილ წუთებს –

უვარცხნის თმებს,

თავზე დამაგრებული სავარცხლით.

1981



* * *

როგორც ისარი,

ზესკნელიდან გადმოტყორცნილი,
როცა ღრუბლებში ელვა იწივლებს,

მე შველას შევთხოვ უფალს უხილავს.
ღამე კი ჩეკავს ვარსკვლავების –

ყვითელ წიწილებს
და მთვარე ცაში გაფანტულებს მწყემსავს
კრუხივით.

1966



გავხდი უღავოს

მოსვლის დღიდან რომ თავს დამტრიალებს,
 ჟამთა არწივი მწამს გამიტაცებს,
და „იქ“ წამიყვანს მე
 სამუდამოდ.

მაგრამ მანამდე,
 ჩემს ყოფნას „იქ“ – დედამიწაზე,
გავხდი უეჭველს, გავხდი უღავოს!

1992



როგორც ნაგაზები

ელვის მავთულხლართით შემოდობილ
და ჩაბნელებულ ღამის ეზოს,
გარშემო უვლიან ღრუბლის კამეჩები
და მთვარეს –

მეველეს აბრაზებენ...

ცოტაც და წვრილ-წვილნი ვარსკვლავნი,
გამოენთებიან, როგორც ნაგაზები,

ყეფით და...

სინათლის წკავწკავით...

1965



ც ა ლ ა მ ი წ ა

ც ა –

მიწის უფროსი ძმა არის,
და კითხვას ასწავლის,

ვარსკვლავთა ასოებს

უწერს და უწერს

ღამის შავ ღაფაზე,

ხან კი ელვის ენას უყოფ მას ღრუბლიდან
და მიწას –

თავის დას აბრაზებს.

1957



* * *

მეხის ძახილზე,
ცის შუა კერაზე,
მნათობთა ნაკვერცხლები მინავლდნენ.
არსად ჩანს, მოვარის ნალევი.
ღამეს კი ხერხავენ დილაძღუ
ყივილის ბიბილოებით
მამლები.

1961



* * *

დღესა და ღამეს –
სკილას, ქარიბდას,
ამ ორ დიდ ურჩხულს არ შევეუშინდი
და ეს საწუთრო მე
შევიფერე.
არც ჭოგრიტიდან, არც გამჭვარტლულ
ღამის
შუშიდან,
არამედ ბოთლის ნატეხიდან რომ ჩანს, –
იმფერი.

1966



* * *

ღრუბლები, როგორც მიკიოტები,
ჩამომკივლებენ შიშს და
სიბნელეს.

და როცა ღამე,

შავით მოსილ ფიქრებს ამიშლის.
მაშინ წინაპრის შორეული მესმის ვედრება:
„ქართული სიტყვა, სტრიქონების ოქროს
ყალიბში
ჩამოასხა და წიგნში ჩადე ოქროს ზოდებად!“

.....

გმადლობთ, სულმნათო!

შევძლებ... ვერ შევძლებ?!
ვამბობ და... თავი საკუთარი, მე მეცოდება!

1966



ხე უკვდავების

რადგანაც შენ ხარ ხე უკვდავების,
მილიონობით ჭკვიან ნაყოფით –
დახუნძლული გაქვს ტოტები ოლით.
ვით შესაწირი შენთვის ბატკანი
მამულო!

შენთვის მე თვით დავები,
და ველოდები იმ ღამაზ დღეს რომელიც
მოდის.

1982



* * *

მთვარე –

წისქვილის თეთრი ბორბალი,
ვარსკვლავთა წითელ მარცვალს ღერდილად
ფქვავს
და ზამთრის ღამეს თეთრად ათენებს.
ხეზე მიდგმული ლოკოკინას ციცქნა
სახლიდან.

ვითარც ანტენა ჩანს ლოკოკინას –
ორი პატარა რქა.

1967



რომ ამოფრინდეს სიცოცხლე ისევ

სწამდით...

სჯეროდათ...

და თავს სწირავდნენ...

უღვთოდ კეთილნი, თანაც მკაცრები,
დიდიხნის წინათ დაღუპული ჯარისკაცების
მუხარადებში ჩიტები კვერცხებს სდებენ და
სდებენ...

და ჩეკენ მყისვე,

რომ ამოფრინდეს სიცოცხლე ისევ.

1959



ეკა, სიკვდილო

თითქოს და იყოს ჩვენი მსახური,
უნდო, უღმერთო,
და უსახური

წამით არ გვეტოვებს და გვითვალთვალებს
და უკეთია შავი ღამის შავი სათვალე.
ჩვენი ტკივილი საუკუნოდ რომ „მოუშუმოს“
ფეხდაფეხ დაგვდევს, როგორც ჯაშუში...

ეკა, სიკვდილო!



* * *

ფერადი კაბა,
დედას ოდეს თუ ჩაუცვია,
საწყალს მაშინვე გახუნებია.
და მეც, სიკვდილი, ეჰ, რამდენჯერ
„გამსუმრებია“
რომ გაველოდი...
მაგრამ მოსუცი დედაჩემი შეცოდებია
სიცოცხლესა და...
დარჩენილა ჩემთან ბოლომდე.

1956



* * *

ცივი მკლავები შემოაჭდო, როდესაც ზეცამ,
მოსუცი მთვარე, თითქოს შეცბა,
მერე დამშვიდდა,
და ფუმფულა ღრუბლებში მიწვა.
მოვიდა თოვლიც და ცას რომ ეცვა,
ისეთი თეთრი პერანგი კვლავ ჩააცვა მიწას.

1961



ვერ ავიტანე სიზიფუს ლოდი

დღისით და ღამით,
ზაფხლ და ზამთარ,
საწუთრო ესე ვზომე და ვკერე,
დაეანთე ჩემი პატარა ცეცხლი,
განათდა სული,
სახლი და კერა.

გავიხედე და...
ვნახე ის მოდის...
ჰა, სულ ცოტაც და...
და მაინც ვერა,
ვერ ავიტანე სიზიფუს ლოდი.

1962



* * *

ჩემი განვლილი წლები ვადარე
ცას –
გადასარკულს, ემალებიანს.
და ვარსკვლავები –
ცის მდგმურები
და ბინადარნი,
დღისით სინათლეს ემალებიან,
ღამით თავიანთ
ოქროს ქოხებს აჩირადნებენ...

1961



ახლა, ის მიდის

ბოლოს მას ერგო ფიცარი ოთხი
და ხუთიოდე ლურსმანი
ფიცრის.

და ახლა მიდის...

მიუჰყევება შარავზას მტვრანს...

და ღმერთის გარდა არავინ
იცის,

რა მიიტანა, ანდა რა მიაქვს.

1967



* * *

ვიფიქრე:

ნახა სიზმარი ცუდი
და ამან იცის აბორგება
და გულის ხეთქვა.

სხვას შუაწუხებს, ვერ დაიჭერს კედელი
დაქტის.

გამოიღვიძე, დედაჩემო!

ნუ ხვრინავ-მეთქი...

ო, ღმერთო ჩემო!

დედა თურმე, ებრძოდა სიკვდილს.

1963



გმადლობთ, სიცოცხლევ

ფეხდაფეხ მდევდა ციება,

ჭაობში გაზრდილს,

ზარმაცს და ბერჯვს.

ახლა დღეები ცივ ნიაუსაც არ მაკარებენ.

გმადლობთ, სიცოცხლევ!

რომ სიკვდილს ბეგრჯერ

მიუჯახუნე ცხვირწინ კარები.

1958



* * *

ტყეში კაპასი დედაბერივით,
უცებ მოისმა ქარის ჯაჯლანი.
(არც თანაგრძნობა, და არც სირბილე)
ნორჩი ხეები, ობლებივით
შეაჯანჯღარა,
წამოუთაქა,
მერე მინდვრებს გაჰყვა სირბილით...

1990



* * *

ქართ დაგრეხილ ყინვის თოკებით,
ღამით დაბმული –
მიწის ბაგაზე,
ზამთარი სივრცეს იცოხნება ნიშა ხარივით...
თოვლი კი ციდან
მოდის სიბერედ,
მოდის...
გვაბერებს... და გვიხარია...

1967



რბის ლიანდაგი ხელეგაწვდილი

ვით გულდამწვარი ჭირისუფალი

ცა –

ელვით სახეს იკაწრავს და ღრუბლებს
გასწივის...

აქ,

კი, თითქოსდა სულთამობრძავთან

დააგვიანდა,

რბის ლიანდაგი ხელეგაწვდილი

და ზაც კივილით მისდევს

ლიანდაგს...

1963



ერთადერთი სურვილი

სანამ სიცოცხლედ თავს დასტრიალებს
მზე

დედამიწას უქრობ სულივით,
მე ერთადერთი მტანჯავს სურვილი:
ღვთის შთაგონებით და
ღვთის კარნახით,
დაუუსხლტე სიკვდილს,
ვით არაგვში,
ბადეს კალმასი.

1962



მწყემსის კარავი

სადღაც,

შორიშორ, დელის გადაღმა,
მონადირეთა ისმის ძახილი...

ღამე – კამეჩი,

ბნელს იცოხნის კვლავ გავეშებით.
და... კარავს ტყიდან მზირალს ტახივით,
უბრწყინავს ყინვის ლოლუების
გრძელი ეშვები.

1962



* * *

გარდასულ დროთა ძესა და ასულს –
ჭრაქსა და ლამპას
გასვლია ყავლი.

მავალ წკვარაში, არ ჩანს შუქი –
სიცოცხლე სოფლის.
და... უცებ ღამეს გაანათებს
ყვილი მამლის –
დიდი იმედი ამქვეყნად ყოფნის.

1964



პეპელა

დილას ამოჰყვა მნათობივით,
მთელი დღე იფრინა
და იფარფატა...
ათას ყვავილს გაუსინჯა გემო და ფერი.
მერე დაღლილი გაჰყვა საღამოს,
დიდი სამყაროს –
პატარა წვერი.

1956



თეთრი ასული

ათასფერებში ცურავს ბუნება,
მზე სინათლეს და სითბოს
გაკივის...
თეთრი ასული წიგნს ჩაცქერის, ვით
მერცხლის ბუდეს,
და აბრეშუმის ჭიის პარკივით,
თავკვეშ ღამაზი მუთაქა უდევს.

1972



დიოგენიზოი

ვისაც ცოდვილი სული მივანდებ,
სწორედ, რომ იმან მივერაგა
და მიღალატა.
რწმენა კი, როგორც ჩიტი კანარის
სადღაც მიფრინავს,
მოკვავთაგან უღვთოდ დევნილი.
დღისით და მზისით დამაქვს ფანარი –
დიოგენივით.

1980



არ ჩანს არუსი

გაჩენის დღიდან ბრძოლის ველზე ვდგავარ
 ეული,
 წამომეშველოს, არ ჩანს არესი.
 წუთები ყოფნას მზის გორგალზე ჩუმად
 ართავენ...
 თვალებს მარიდებს სიყვარული
 და სამართალი,
 ვიცი, მომელის დღე უარესი.

1976



ვითა ღვთის მონა

ლოდები –

სიკვდილის ნაფესურები...

ვითარცა მამის ნათელი ხსონა –

საფლავე დარგულ

კიპარისებს ეხვევა ვაზი.

თვალცრემლიანი,

უპოვარი, ვითარც ღვთის მონა,

ეზივარ ხავსთან საფლავის ქვაზე.

1967



* * *

ეწევიარ...

სიმშვიდე ჰყვავის გარშემო,

სიხარულის და მზის მომფინველი –
დროის ეტლს ისევ მიაჭენებს ფიქრების
რემა...

ზის როიალზე საათი,

ვით უცხო ფრინველი,
და ვუსმენ ჩუმად მის გულისცემას.

1970



* * *

ვითარც სიზმარ-ცხადს,
ციხისმცველებს იგონებს
ციხე,
მაღალ კედელზე მსტოვარივით მიცოცავს
მწუხრი.
სათოფურებზე ჰკიდებს შიშის ხმლებს და
სიათებს,¹
და ბებერ მხრებზე მოუგდია ჟამს ციხე
რუხის
და ენგურს გაღმა,
სადღაც მიათრევს...

1968

¹ სიათა – თოფი.



ისევ ქარონი

ვერ მიენდობი,
ცბიერი და უნდოა უამი,
ვით დევის ქალი,
მოქათქათე კბილების მჩენი.
(შენდობას ვითხოვ, ქალს თუ უამს ვიდრი)
ამიტომ ვიცი, გვიან თუ ადრე,
იმ მხარეს ჩუმად გადამიყვანს
მენავე ჩემი.

1976



* * *

ცის ტრიალ ველზე,
რომ დგას ზვინებად,
ღრუბელი არა, დაჩეხილი მატყლია თეთრი,
ანდა ფუმფულა ქათიბი ნუკრის, –
ატლასის საბნებს
ანგელოზებს
უკერავს ღმერთი,
სიხუმის ნემსზე –
ელვის წვრილ ძაფს
ხშირ-ხშირად უყრის.

1960



მარტი

მიდის და მიჰყვება უამთა შავ დინებას,
ხან მზე აცხუნებს და
ხან მთვარე დანათის,
თითქოს გურამიშვილის მწყემსია ქაცვია.
მას გარეთ მოუსხამს თოვლ-ჭყაპის
ხალათი,
და ფეხზე სიმწვანის ქოშები აცვია.

1962



* * *

არა ჩანს,
მაგრამ,
სადღაც თონეა,
ქართული პურის სურნელება
მომესაღბუნა.

1978



* * *

ამ წუთისოფლის ყომრალ უღრანებს,
ბედის ვარსკვლავით გზას
ვერ ინათებს,
და ვედარ ასწებს ღვთისგან ნათლობას.
რას იქმ,
ასეა,
ქვეყანაზე ზოგს ჰკლავს სიმართლე
და ზოგსაც მწარე უსამართლობა.


1979



* * *

ზღვა მოიქცა და მთვარის შუქზე
დაღლილი პალმა,
ორღესულ ტოტით –
დაყრდნობია ნაპირს,
ვით პარმადს.

1957



* * *

გრიგალი წვიმის ფოცხით ასწორებს
ზვირთთა ბელტებით
სავსე ზღვის ეზოს
და უცებ ღამის წყვდიად ნაპირთან
ზღვა, როგორც ბავშვი, ისევ ატირდა,
ო, სულ უბრალოდ...
და უმიზეზოდ.

1969



* * *

ცის მდგმურ ღრუბელსაც –
ზღვის მართებს ვალი
და უყრის ფიფქებს –
ვერცხლის მონეტებს,
მით უხდის ვალებს,
წუხს ზამთარი და თვალდათხრილ მიწას,
ედგამს სარკის თუ...
ყინულის თვალებს.

1959



* * *

შუბლშეჭმუხვნილი მთვარე მიჰყვება,
გაჩახახახებულ ღამის
ხეივანს,
მიწა ცას ისევ შესციცინებს და ხმას არ
იღებს.
სიცოცხლის ბაღში დავსერილობ მე
არხეინად,
მაგრამ რად გინდა,,
არყოფნიდან
სიკვდილი მიღრენს...

1961



1991 წლის 22 დეკემბერი

(რუსთაველის პროსპექტი)

ამოდიოდა მნათი აღსავლით,
ხილვა რცხვენოდა დიდი მგოსნის გამზირს
დილისმზის.

წუხდა სიცოცხლე გათელილი და
დაღეწილი.

გამეხებული იდგა თბილისი
და პირს იხოკდა საქართველო –
თმაგაწეწილი.

1961



* * *

ბოგირთან პატარა ღელემ,
თავი დასავენებლად
მიდო.

მზემ ისევ მოხვია ხელი
პეპლებით აყვავებულ მინდორს.

1965



* * *

შენ და შენი გრძნობა,
ისე ჰგავხართ ერთურთს,
როგორც წვეთი წყალი,
მე და ჩემს სიყვარულს –
ქვეყნად ერთად შობილს,
კვლავ არა გვეყავს ცალი.

1989



* * *

ღამე სულს ღაფავს
დილის ნათელში,
მდინარეები ზღვას ელტვიან,
ასეა ოდით.
წუთისოფელი მიდის როგორც
გგადალკივირი...
იგი ყოველთვის ფეხაკრეფით
და ჩუმად მოდის
და მერე მიდის წივილ-კივილით.

1968



* * *

გთხოვ,
ხელს ნუ აუქნევ
და ნუღარ დააფრთხობ,
ჩემი სიყვარულია პატარა ბელურა,
შენს წინ რომ დასკუპდა,
ფანჯრის სველ რაფაზე,
შემოგვციცინებს და შიშით რომ კანკალებს...

1958



აქილევსის ქუსლი

ვინც უკვდავება მოისაზრისა
და დაფნისფერი გვირგვინი
ადაგს,
უღმერთო ჟამმა, იმ მგოსნებსაც გაავლო
მუსრი.

მეც ის მომელის,
უფალო, რადგან,
პოეზიაა –
ჩემი აქილევსის ქუსლი.

1992



იმედის ძაფით

ვიცი ყოველი არის ამაო,
ცხოვრება ზღვაა...
და მე ვარ ქაფი
და როცა წავალ, მაცხონე, ამინ!
მაინც გაცრეცილ წუთისოფელს იმედის
ძაფით,
ვკემსავ და ვკემსავ
დღისით და ღამით!

1982



1989 წლის 26 მაისი

ღმერთმა ქნას რომ ჩემს მამულში
მტერ-მოყვარემ,
რაც დათესა, მას იმკიდეს!
მორჩა!
აწ ჩემს საქართველოს,
ფეხზე ვერვინ დაიკიდებს!

1989



ღამე და დღე

(ჯულიანი მედიის სამარხის დეტილიდან)

მუდამ სულდგმულთა ისმის ბღაველი...

(ო, ეს ქვეყანა არის ბოსელი...)

ქვეყნად მშველელი არ ჩანს
არავინ.

კაცი –

დღე არის მზით შემოსილი,

ქალი –

ღამეა, ბნეი წკვარამი...

1990



* * *

ზღვა ქარის ხმაზე გამოიღვიძებს,
სადღაც სიჩუმის იღება
კარი, –
გამოხტის ელვა –
თითქოს ფეხმარდი ნადირია.
ცის დიდ დარბაზში დგას კუბო მთვარის,
და ვარსკვლავების დასტირიან...

1972



* * *

დიდიხანია მოველი გლოვის დღეს,
თუ ვაჟკაცია და...
სიკვდილი მოვიდეს!
ო, საქართველო!
შენს სიყვარულს თუ არ დაგაკლდე,
როდესაც მოგკვდები,
ზედ ძალღი დამაკვდეს!

1991



მინაწერი „ღონკიხოტზე“

დრო ათანაბრებს ყველაფერს,

უკუზოსაც და...

კუზიანს.

და ამწყვედევს მიწის ლიდებში –

ქართველს თუ ანდალუზიელს.


1989



* * *

ღრუბლებს სახეზე გადაუფრენა ელვის
ლიმილი
და თოვლის თეთრი ყაბალახებით
თავწაკრულნი და ფერმიკრთალნი
დგანან ქედები.
ფიქრები შორეთს დაბლახობენ...
გულს ცის და დარდის ჭვარტლი ედება...

1967



მშობლიური სახლი

მცირე ფარდაგზე, კედელზე მუხის,
ისევ ჰკიდია მამა-პაპის
თოფი და ყამა,
თუმცა დრო გარბის და... გადადის ყირას.
მე კი ბავშვივით
შევეყურებ მამას –
გადიდებული სურათიდან მოწყენით
მზირაღს.

1986



* * *

ჩემი დღეები დარღმა დაცრიცა,
დავდივარ...

დავალ...

ვფიცულობ შენს მზეს.

და კვლავ ვლოცულობ პილიგრიმივით
ცას მიწყვდიადებს ფიქრები შენძე,
თუმც გზას მინათებს –

სხივთამფენი შენი ღიმილი.

1969



სოფლის საღამო

პატარა ბუჩქთან დღაბუცობს ქარი,
თმაბებერს ალბათ,

დაავიწყდა თავის ასაკი,
ბზიკები ხარ-ძროხას –

სისხლს და მზეს უშრობენ.

ციყინის ბუშტები ჰკიდია ვასაკებს,

შუკაში მოზვერი აწვალებს
უშობელს.

1956



მინდორი

მწვანე მინდორი არის რვეული –
ხეების „ასომთავრულით“
დაწერილი,
რომელსაც ბუჩქის უზის წერტილი,
ზედ კალამით დევს
ნაკადული,
მელანდამშრალი და დაწრეტილი.

1956



ისევ „ის“

როდესაც ჩემში შემომზიანდა,
დარდით დახურა
უდარღელი ღღეების ერდო,
შემოვიდა და აწ აღარ გადის.
ჩუმი მლოცველი –
პოეტზე ერთდროს,
ახლა მიყურებს წარსულიდან –
თვალებით კატის.

1988



მალე გამოიდარებს

საქართველოს ცაა შავი,
ავის მაცნე დღე დღეს
მისდევს,
მიდის! –
არრას იბარებს.
ყოველივეს ხედავს ქრისტე,
მალე გამოიდარებს...

1984



* * *

სოფლის შუკებში –
სოფლის ნახირს
შემოჰყავს მწუხრი,
ოწინარი კი უირაფივით იგრძელებს კისერს.
ჭასთან ბოჩოლას არწყულებს კოჩო.
და მეგრულ ოდის სახურავზე
ციცქნა ნიავი,
უვარცხნის ბუხარს –
კვამლის შავ ქოჩორს.

1959



კავკასიონი უღევს სასთუმლად

მთვარის ჩქერებით ხელპირდაბანილს,
მიწიდან ისევ ელის ცა

სტუმარს...


ახურავს მნათთა დაწიწკლული ჩითის
საბანი.

კავკასიონი

უღევს სასთუმლოდ

და სიხუმეში წევს დედამიწა.

1965



მზესუმზირა

დგას თავდახრილი, ვით დამნაშავე,
სახეზე სიმწვანე აყრია
ღინღლივით
და ელოდება მზეს სულის მიღევით.
მორცხვობს და ქვეშიდან ბავშვივით
იმზირება...

და უჩანს ჩვილის
რძიანი კბილები.

1961



* * *

ზესკნელს გაუდის გრგვინვა-გრიალი,
იქ, ალბათ, ებრძვის მიწიერი
არამიწიერს
და ცა ხანდახან გამოაჩენს ელვის წყვილ
ნაწნავს.

ზღაგც გაბრაზდა... და წამოიწია
და ნაპირს ტალღის სილა
გააწნა.

1959



ეჰ, სიყვარულო!

ძვირფასო!

ჩემში დაივანე კვლავინდებურად,
აღარ გადარდებს სვე-ვერაგი წუთისოფელი
და არც ცბიერი ეს ზღვა
და სმელი.

ვნებიან წუთით ბედნიერი და კმაყოფილი,
თვალცრემლიანი მიკოცნი ხელებს,
ეჰ, სიყვარულო!

1969



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ5

შენ რომ არ იყო.....25

კარნავალი.....26

*** (მთვარე ბავშვივით...).....27

*** (გახელილი აქვს...).....28

ო, ჟოზეფინა29

*** (ქართ გაცრილი).....30

კმაყოფილება.....31

განცდა32

მივალ დაღლილი.....33

მურგვა.....34

დე, მარად მტკიოდეს.....35

მარტვა იმარტა.....36

ვდარდობ.....37

არ შეგელის.....38

ჟამი განკითხვის.....39

ო, დედა ჩემი.....40

უცებ ვიზრდებით.....41

ათასწლეულებსი გდია.....42

ვითარცა თორი.....43

მარტის სუსხი44

გამთენიის ცა.....	45
მიმწუხრის ბაღი.....	46
ოქროს ასოები.....	47
სული ამოდის.....	48
მეხთატეხა მთაში.....	49
თეთრი არაგვი.....	50
*** (როს ტაღლა...)	51
სოფლის დილა.....	52
თბილისი მთაწმინდიდან.....	53
*** (ჩვენ ვართ...)	54
ჩურჩულებს ბუერები.....	55
რემა შელეგია.....	56
ქართლის სული.....	57
მტკვარი და მთაწმინდა.....	58
*** (გაღვიძებულ ტოტებზე...)	59
შენს მოლოდინში.....	60
ისევ აქა ვარ.....	61
ავვისტო.....	62
შეიბნ მახვილი.....	63
შენ ქართველო!.....	64
ჩარგალში.....	65
ნიშა და ნიკორა.....	66
ჰეფესტო.....	67

რამზესის ეტლი.....	68
ტყვიების ყვავილი.....	69
მგლის ლეკვები.....	70
ყულევის ღამე.....	71
*** (გაჩენის დღიდან ბეწვზე ვეკიდე)....	72
ბებოს ქოხი.....	73
შეცდომით.....	74
სასაფლაოზე.....	75
იუმორესკა.....	76
გაზაფხული ტყეში.....	77
ბედურას ბუდე.....	78
დაბრუნება.....	79
1937.....	80
გაფრენილი მერცხლები.....	81
*** (ჩემი ხახული).....	82
ყვავ-ყორნები.....	83
ღავექებ ტყაშმაფას.....	84
ცა იმიტომ არ იქცევა.....	85
ახირებული ფიქრი.....	86
თვალები.....	87
ბრმა შეყვარებული.....	88
*** (დაწანწალებ...).....	89
ჭაჭანება კი არ იყო არსთა.....	90

თუთარჩელა.....	91
წიგნი „ოდისეა და ილიადა“.....	92
ჩემი ბინული.....	93
ო, ალბათ მიცნეს.....	94
იქ, მთების კოშკებში.....	95
ღმერთი.....	96
*** (ვისაც მოეღის...).....	97
ბნელში უელავს თვალები ჭოტის.....	98
უკვდავება.....	99
სკოლის წინ.....	100
ჩიტები.....	101
სად მიდის ეს გზა.....	102
მხარგრძელის ნათითარი.....	103
*** (ძალმოღეული მზე არის ქორი...).....	104
*** (რა წყალში ჩავეარდე...).....	105
შუაკერა.....	106
თავშესაფარი.....	107
*** (შემომხვდები და სულთამხუთავი...).....	108
*** (ახალგაჭრილი საფლავები...).....	109
მოულოდნელი ზამთარი.....	110
*** (გადაუღებლივ ჟინუღლავს...).....	111
*** (ქართან თამაშით...).....	112
*** (მახსოვს...).....	113

სამნი	114
წრომი.....	115
*** (ჩემი ბავშვობიდან...)	116
*** (მკერდგახსნილ ცას...)	117
ხორგაში.....	118
ღვას ცისარტყელა	119
*** (შავი ღრუბლების...)	120
*** (როცა ფოთლებით დაფენილ შუბლზე...)	121
*** (ოსმალო არა!)	122
*** (ჩემი შვილების დავიდებ ცოდვას...)	123
*** (დიდხანს ველოდი...)	124
მებორნე.....	125
*** (ზამთრის დღეები...)	126
*** (შორიდან მოსულ...)	127
*** (როცა ჩაიარეს...)	128
*** (წვიმს...)	129
*** (აღმოსავლიდან ვიდრე...)	130
*** (შუაკერაზე ტკარცალებს...)	131
სიცოცხლე სხვა არაფერია	132
ქორწილი სოფელში	133
*** (შავითმოსილები).....	134
*** (დაეყრება).....	135

ლიფსიტები.....	136
*** (ცისარტყელას საყენით ...)	137
იმ ქართველ ვაჟკაცს.....	138
დედა ჩიტი.....	139
*** (აქ, ადრე...)	140
მარტო დატოვეს.....	141
თავს იწონებს.....	142
*** (ღმერთმა აცხონოს...)	143
ცუცუს და რახილს.....	144
*** (რა საჭიროა დიდრო და კანტი...)	145
*** (მწვანეს იცვამენ გაზაფხულები...)	146
*** (აღარა ჩანს ცა და მიწა...)	147
*** (ვით მგლების ხროვამ...)	148
*** (ყივიან მამლები...)	149
*** (წვიმს და...)	150
*** (თოვლის თეთრ რაშზე...)	151
*** (ვერ გადაურჩა უამთა ქარიშხალს...)	152
*** (აყმუველდებიან ძაღლები მყისვე).....	153
*** (ტანზე აცვია...)	154
*** (ჩამაცვა გალობის ანაფორა...)	155
ნასესხი დღეები.....	156
*** (მშიერი და შიშისმგვრელი).....	157

*** (მიყვარდეს ყველა).....	158
*** (ტყემ მიწა ისევ გამოუგზავნა...).....	159
*** (ყველა კანონი იცვლება).....	160
ელვის ნათელზე.....	161
თვალი გაახილეთ	162
მესმის სისინი.....	163
წიფის გვირაბი.....	164
1991 წლის 23-31 დეკემბერი	165
*** (ბავშვივით ისევ ტირის).....	166
პეპლები შუა დღის მზეში	167
მთიები.....	168
არიადნეს ძაფის გორგალი.....	169
*** (მხოლოს იმ ერთმა...).....	170
მგლის სიკვდილი.....	171
ჰა და ჰა.....	172
ასკილი ციხის ნაგრევზე.....	173
უფალო ჩემო	174
ოფოფი.....	175
*** (როგორც ისარი...)	176
გაგხდი უდაოს	177
როგორც ნაგაზები.....	178
*** (რომ...).....	179
ცა და მიწა.....	180

*** (მეხის ძახილზე...)	181
*** (დღესა და ღამეს)	182
*** (ღრუბლები, როგორც მიკიოტები)...	183
ხე უკვდავების	184
*** (მთვარე ...)	185
რომ ამოფრინდეს სიცოცხლე ისევ	186
ეჭა, სიკვდილო	187
*** (ფერადი კაბა...)	188
*** (ცივი მკლავები...)	189
ვერ ავიტანე სიზიფეს ლოდი	190
*** (ჩემი განვლილი...)	191
ახლა, ის მიდის	192
*** (ვიფიქრე...)	193
გმადლობთ, სიცოცხლე	194
*** (ტყეში კაპასი დედაბერივით...)	195
*** (ქართო დაგრეხილ...)	196
რბის ღიანდაგი ხელებგაწვდილი	197
ერთადერთი სურვილი	198
მწყემსის კარავი	199
*** (გარდასულ დროთა)	200
პეპელა	201
თეთრი ასული	202
ლიოგენივით	203

არ ჩანს ნატელი.....	204
ვითა ღვთის მონა.....	205
*** (ვწევარ...)	206
*** (ვითარც სიზმარ-ცხადს...)	207
ისევ ქარონი.....	208
*** (ცის ტრიალ ველზე...)	209
მარტი	210
*** (არ ჩანს...)	211
*** (ამ წუთისოფლის...)	212
*** (ზღვა მოიქცა...)	213
*** (გრიგალი წვიმის...)	214
*** (ცის მდგმურ ღრუბელსაც...)	215
*** (შუბლშეჭმუხვნილი მთვარე...)	216
1991 წლის 22 დეკემბერი.....	217
*** (ბოგირთან...)	218
*** (შენ და შენი გრძნობა...)	219
*** (ღამე სულს დაფავს...)	220
*** (გთხოვ...)	221
აქილევსის ქუსლი.....	222
იმედის ძაფით.....	223
1989 წლის 26 მაისი.....	224
ღამე და ღღე.....	225
*** (ზღვა ქარის ხმაზე...)	226

*** (დიდი ხანია...)	227
მინაწერი „ღონკიხოტზე“	228
*** (ღურბლებს სახეზე...)	229
მშობლიური სახლი	230
*** (ჩემი დღეები...)	231
სოფლის საღამო	232
მინდორი	233
ისევ „ის“	234
მალე გამოიდარებს	235
*** (სოფლის შუკებში)	236
კაეკასიონი უდევს სასთუმლად	237
მზესუმზირა	238
*** (ზესკნელს გაუდის გრგვინვა...)	239
ეკ, სიყვარულო	240

Պ. Գ. Երևան

"Միջազգային Գիտությունների Կենտրոն" 100-ժամանակ
43 թիվ, Գիտությունների Կենտրոնի Կառավարության Կողմից
հաստատված կարգը, և Գիտությունների Կենտրոնի
Կառավարության կողմից սահմանված կարգը համապատասխան
"Միջազգային Գիտությունների Կենտրոն" 100-
ժամանակ, 3-6 թիվ կարգը կազմակերպելու համար
կատարված աշխատանքները, ըստ Գիտությունների
Կենտրոնի կողմից սահմանված կարգի համապատասխան
4-6 թիվ կարգը, Գիտությունների Կենտրոնի 100-
ժամանակ կարգը կատարված աշխատանքները համապատասխան
սահմանված կարգին:

Պ. Գ. Երևան
2020 թ.



ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 75

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 75

გამომცემლობის
რედაქტორი – თაკო ბიუტაშვილი
მხატვარი – სპარტაკ ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი – ირაკლი უშვერიძე
ტექნიკური რედაქტორი – ნანა ღუმბაძე
კორექტორი – თაკო ბიუტაშვილი
კომპიუტერული
უზრუნველყოფა – ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – კახა ალექსანდრია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიძის ქ. №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com